ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეა ასლანიშვილი

ქალთა მიმართ ძალადობა, მოქმედი ფაქტორები და არსებული გამოწვევები

სოციალური მუშაობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თამარ მახარაძე

საჯარო პოლიტიკის დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის დირექტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის, მასზე მოქმედი ფაქტორებისა და არსებული გამოწვევების შესწავლა. ნაშრომის ამოცანებია იმ ფაქტორების შესწავლა, რომელიც შესაძლო გავლენას ახდენს ქალთა მიმართ ძალადობაზე, მსხვერპლი გადაწყვეტილებაზე იცხოვრონ მოძალადესთან და არ გაამჟღავნონ ძალადობის ფაქტები, იმ გამოწვევების გაანალიზება, რომელიც არსებობს საქართველოში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის. ნაშრომში განხილულია: განათლების, რელიგიის/კულტურისა და ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა ძალადობაზე, მის გამოვლენასა და რეაგირებაზე.

კვლევა ჩატარდა ძალადობის მსხვერპლ ქალებთან, მომსახურების მიმწოდებლებთან და ექსპერტებთან. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში ძალიან მძიმე პრობლემაა, სურათს კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ ეს თემა ტაბუდადებულია და ხშირ შემთხვევაში არ ხდება მისი იდენტიფიცირება. შედეგებიდნა ვიგებთ, რომ ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერ ქალი, მიუხედავად მისი განათლების, ეკნომიკური მდგომარეობის თუ სხვა ფაქტორებისა, თუმცა ხშირად აღნიშნული ფაქტორები ხელს უწყობს ძალადობრუვ ფაქტებს და გავლენას ახდენს მის გამოვლენასა და შესაბამის რეაგირებაზეც. ხშირად ინფორმირებულობის დაბალი დონის გამო ქალები ვერც აცნობიერებენ, რომ არიან ძალადობის მსხვერპლები. ასევე განათლების დაბალი დონის გამო ისინი ვერ ახერხებენ დასაქმებას, შესაბამისად არ გააჩნიათ საკუთარი შემოსავალი და ბევრად ნაკლები შესაძლებლობა აქვთ დააღწიონ ძალადობრივ ურთიერთობას თავი, ვიდრე იმ ქალებს, რომლებიც ეკონომიკურად დამოუკიდებლები არიან. ძალადობის გამხელაზე დიდ გავლენას ახდენს კულტურული ნორმები და რელიგიური შეხედულებებიც. ტრადიციულ საზოგადოებებში, რომელთა რიცხვსაც საქართველოც მიეკუთვნება, ქალთა მიმართ ძალდობა ხშირად მიღებული ნორმაა და მეტიც, ეს ქალის "ბრალია" და ქალი, რომელიც ამის გამო ოჯახს დაანგრევს, ცუდად აღიქმება და დისკირმინაციის მსხვერპლი ხდება.

Annotation

The aim of this thesis is to review violence against women in Georgia, factors that have influence on it and existing challenges. The tasks of the work is to study the factors that have possible effect on violence against women, on victims decision to stay with a perpetrator and not reveal the violence, analyses of the challenges that the women who have been subjected to violence have in Georgia. The thesis reviews: the influence of education, culture/religion and economic status on violence, on revealing it and responding to it.

The victims of Intimate Partner Violence (IPV), the service providers and the field experts were interviewed for the survey, which revealed that violence against women is a serious problem in the world and in Georgia too. The fact that the subject is tabooed makes the situation even worse and the violence facts often stay unidentified. The survey results show that anyone can be a victim of violence, regardless their education, economic status or any other factors, but these factors often encourage violence and also affect revealing it. Because of the lack of information women often do not realise they are violence victims. Low level of education also affects their employment status, therefore victims don't have their own income and have a much smaller chance to leave the toxic relationship than women who are self-sufficient. Disclosing the violence facts can also be affected by local culture and religion. In traditional countries like Georgia IPV is accepted and even more, it's the woman's "fault" and the women that speak up and break-up the family because of it, are perceived negatively and become a victim of stigma/discrimination.

შინაარსი

ანოტაცია 1
Annotation 2
შესავალი 4
1. ძალადობის განმარტება 8
2. ძალადობაზე მოქმედი ფაქტორების თეორიული მოდელები 10
3. ძალადობასა და მის გამოვლენაზე მოქმედი ფაქტორები 15
3.1 განათლება 16
3.2. რელიგია/კულტურა 18
3.3. ეკონომიკა 20
4. მოძალადესთან დარჩენის მიზეზები 23
5. საქართველოში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის არსებული სერვისები 26
6. კვლევის დიზაინი 31
6.1. კვლევის შედეგები 32
6.2. შედეგების ანალიზი 41
7. დასკვნა და რეკომენდაციები 46
გამოყენებული ლიტერატურა: 50
დანართი 1 53
დანართი 2 54

შესავალი

ძალადობას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში სიკვდილის მიზეზებს შორის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2014 წელს მსოფლიოს 133 ქვეყანაში (რაც მსოფლიო მოსახლეობის 88%-ს წარმოადგენს) ჩატარებული კვლევის შედეგად გამოავლინა, რომ ყოველი მესამე ქალი ადასტურებს პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის გამოცდილებას. (World Health Organization, 2014)

ქალთა მიმართ ძალაოდბას მივყავართ მსხვერპლთათვის ისეთ შედეგებამდე, როგორიცაა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ეკონომიკური პრობლემები. ძალადობაგანცდილ ქალებში ბევრად მაღალია დეპრესიის ან მისი განვითარების რისკების რაოდენობა, ვიდრე იმ ქალებში ვისაც არ განუცდია ძალადობა. ქალებს, რომელთაც განუცდიათ ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობა, 16%-ით მეტი შანსი აქვთ დღენაკლული ბავშვის გაჩენის, 2-ჯერ უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, რომ მიმართონ აბორტს, ან განუვითარდეთ დეპრესია, ვიდრე იმ ქალებს ვისაც არ განუცდია ძალადობა. ასევე 1.5-ჯერ მეტია შანსი, რომ დაინფიცირდნენ აივ ინფექციით. (World Health Organisation, 2013)

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ქალთა მიმართ ძალადობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემადაა დასახელებული. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2013 წლის კვლევის “Global and regional estimates of violence against women” შედეგების თანახმად, მსოფლიოს მასშტაბით ქალთა 35%-ს გამოუცდია ფიზიკური და/ან სქესობრივი ძალადობა, უმეტესად მათი პარტნიორის მხრიდან და გლობალურად, ფემიციდის 38% მსხვერპლის პარტნიორის მიერაა ჩადენილი. (World Health Organisation, 2013) აღსანიშნავია, რომ იმავე ციფრებს ასახელებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 2017 წლის ბოლოსთვისაც. (world health organization, 2017)

ევროკავშირის ძირითადი უფლებების დაცვის სააგენტომ (European Union Agency for Fundamental Rights) 2014 წელს წარადგინა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კვლევა. აღნიშნული კვლევა ჩატარდა ევროკავშირის წევრ 28 ქვეყანაში, მონაწილეობა მიიღო 42 000-მა ქალმა, რომლებთანაც ჩატარდა პირისპირი ინტერვიუები. კვლევის შედეგად

გამოვლინდა, რომ ევროკავშირში დაახლოებით 13 მილიონი ქალი (18-74 წლის) კვლევის ჩატარებამდე 12 თვის განმავლობაში განიცდიდა ფიზიკურ ძალადობას, 3.7 მილიონი ქალი განიცდიდა სექსუალურ ძალადობას. (European Union Agency for Fundamental Rights, 2014)

აღნიშნული საკითხი ბოლო წლების მანძილზე აქტუალურად განიხილება საქართველოშიც, თუმცა საქართველოში ოჯახში ძალადობა გასაიდუმლოებული, ტაბუდადებული თემაა, მსხვერპლები ამ თემას არ განიხილავენ საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის შიშით. ასეთი ფაქტების გამჟღავნება ეწინააღმდეგება ქართულ სოციალურ ნორმებსა და არსებულ მენტალიტეტს. საზოგადოების ასეთი დამოკიდებულების ახსნა შესაძლებელია იმ გავრცელებული აზრით, რომ ოჯახის უფროსი მამაკაცია და ქალი მას უნდა დაემორჩილოს. მორჩილი ცოლი აღქიმება როგორც „კარგი“ მეუღლე. (ჩიტაშვილი, 2010) 2014 წლის პირველი 11 თვის განმავლობაში საქართველოში დაფიქსირებულ მკვლელობის შემთხვევებს შორის მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობების პროცენტული წილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევებს შორის, მოძალადეს ერთის გარდა ყველა შემთხვევაში მამაკაცი წარმოადგენდა. (ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია ოჯახური დანაშაულის შესახებ საქართველოში, 2015)

2017 წლის მონაცემებით საქართველოში ცხოვრების მანძილზე 5.6 % ქალს განუცდია ფიზიკური ძალადობა, 2.3%-ს სექსუალური, 13 %-ს ემოციური ხოლო 9.6%-ს ეკონომიკური ძალადობა. განსხვავებულია განცდილი ძალადობის განაწილება რეგიონების მიხდევით, ყველაზე მაღალ პროცენტს ვხვდებით სამცხე-ჯავახეთის რაიონში (21%) მეორე ადგილს კი დედაქალაქი იკავებს (20%). (UN Women, 2017)

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) გასული წლის სტატისტიკის თანახმად, 2015 წლიდან ყოველწლიურად 50%-ით იზრდება ოჯახური ძალადობის შემთხვევათა რაოდენობა, საერთო ჯამში კი 2013-2018 წლებში ოჯახური ძალადობის 6464 შემთხვევაა დაფიქსირებული. (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2018)

იმისთვის, რომ პოლიტიკის შემქმნელებს უფრო მკაფიოდ დავანახოთ ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის არსი, უმჯობესია ვაჩვენოთ ამ პრობლემით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები, რაც მოქმედებს როგორც თითოეულ ინდივიდზე, ასევე მთლიან საზოგადოებასა და ქვეყანაზე. დანახარჯად შეგვიძლია მივიჩნიოთ: სამედიცინო ზრუნვის დანახარჯი, ფსიქოლოგიური ზრუნვა, იურიდიული მომსახურება, დაუსაქმებლობის მატების რისკი, სოციალური უსაფრთხოება (მაგ:ფულადი დახმარებები). პირდაპირი დანახარჯებია: ჯანმრთელობა, ჰოსპიტალური და მედიკამენტური დახმარება, თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები, სოციალური მუშაობა, თერაპიები, პოლიცია, სასამართლო, ციხე.. არაპირდაპირი დანახარჯი: სიკვდილიანობა, პროდუქტიულობის კლება, ფიზიკური დაზიანებები.. (Bonewit, 2016)

სოციალური მუშაკები უკვე რამოდენიმე ათწლეულია ჩართული არიან ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებში. აღნიშნული პროფესიის წარმომადგენლები ცდილობენ რისკ ფაქტორების შემცირებასა და დამცავი მექანიზმების გაძლიერებას, რაც ხშირად გულისხმობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, სერვისების გაუმჯობესებას ან ინდივიდუალურ თუ ოჯახურ კონსულტაციას ძალადობის მსხვერპლ ქალებთან. სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ სხვადასხვა დაწესებულებათა სერვისების ძალადობის მსხვერპლთათვის მორგებასა და ხელმისაწვდომობაში და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებაშიც კი. (Webb, 2010) 2016 წლის სპეციალურ ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევათა შესწავლის პროცესში მწვავედ დგას სოციალური მუშაკის ეფექტურად ჩართვის პრობლემა მათი გადატვირთული გრაფიკის, არასაკმარისი რესურსისა და სამართალდამცავთა მხრიდან ხელშეწყობის ნაკლებობის გამო. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016)

მოცემული ნაშრომის მიზანია ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოცდილებისა და ისტორიების შესწავლა, საქართველოში არსებული რეალობისა და შესაბამისი სერვისების გაცნობა, დოკუმენტებისა და ლიტერატურის მიმოხილვა, სხვადასხვა კვლევების განხილვა და ანალიზი. ნაშრომში განხილული იქნება ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ძალადობაზე და გაანალიზდება მათი როლი

ძალადობრივი აქტების განხორციელებაში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ისეთი ფაქტორების განხილვაზე, როგორიცაა: ეკონომიკური მდგომარეობა, განათლება, რელიგია, კულტურა, საცხოვრებელი ადგილი და სხვა.

1. ძალადობის განმარტება

ჯერ კიდევ 1993 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ შეიმუშავა დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის შესამცირებლად, რომელშიც ამ უკანასკნელს განმარტავს როგორც „ნებისმიერი გენდერზე დაფუძნებული ქმედება, რომელიც იწვევს (ან შესაძლოა გამოიწვიოს) ქალთა ფიზიკური, სქესობრივი ან ფსიქოლოგიური ზიანი, ან ტანჯვა, ასევე ამგვარი ქმედებით მუქარა, თავისუფლების შეზღუდვა საჯაროდ ან პირად ცხოვრებაში.“ (United Nations, 1993) ევროკომისიის ვებ-გვერდზე გენდერული ძალადობა განმარტებულია როგორც ძირითადად ქალთა და გოგონათა მიმართ განხორციელებული ფიზიკური, სქესობრივი ან ფსიქოლოგიური ძალადობა მათი გენდერის გამო. (European Commission, n.d.)

ქალთა მიმართ ძალადობის ტერმინის გასაანალიზებლად, სხვადასხვა ავტორთა განმარტებებთან ერთად, საჭიროა აღინიშნოს „საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”, რომელიც განსაზღვრავს ქალთა მიმართ ძალადობისთვის დამახასიათებელ ქმედებებს, ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე ძალადობის მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დახმარებისა და დაცვის გარანტიებს. (საქართველოს პარლამენტი, 2006) აღნიშნული კანონის მიზანია ქალთა უფლებების დაცვა, თანასწორობის აღიარება. მათი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა და ყველა სახის ძალადობის არიდება. აგრეთვე, ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმების შექმნა, მსხვერპლებისთვის დახმარების, დაცვისა და რეაბილიტაციის მექანიზმების შექმნა და განვითარება, თანასწორობისა და სამართლიანობის ჩამოყალიბება და ძალადობის პრევენცია. (საქართველოს პარლამენტი, 2006) ამავე კანონის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს "საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა." (საქართველოს პარლამენტი, 2006, გვ. 1)

კანონში აღწერილი და განმარტებულია ძალადობის სხვადასხვა ფორმა, ესენია: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, იძულება, ეკონომიკური.

"ა) ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ბ) ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

გ) იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

დ) სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

ე) ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;" (საქართველოს პარლამენტი, 2006, გვ. 1)

საქართველოში ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია 2012 წლის მაისში მოხდა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოხდა ცვლილებები და 126 პრიმა მუხლის მიხდევით, ოჯახში ძალადობა კრიმინალური ხასიათის ქცევაა და აწესებს პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისთვის. (საქართველოს პარლამენტი, 2019)

2. ძალადობაზე მოქმედი ფაქტორების თეორიული მოდელები

ქალთა მიმართ ძალადობა არ არის გამოწვეული რომელიმე ერთი მიზეზით, იგი მთელი რიგი რისკ ფაქტორების შედეგია. ამ რისკ ფაქტორების გამოვლენა რამდენიმე მოდელითაა შესაძლებელი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბაზაზე არსებული ძალადობის პრევენციის ალიანსის (VPA) საქმიანობა ძირითადად ეკოლოგიურ მიდგომას ეყრდნობა. ეკოლოგიური მოდელი ეფუძნება მოსაზრებას, რომ ძალადობის გამომწვევი მხოლოდ ერთი მიზეზი არ არსებობს და ინტერპერსონალურ ძალადობას განიხილავს როგორც 4 სხვადასხვა დონის ფაქტორთა ურთიერთქმედების შედეგს - ინდივიდი, ურთიერთობები, თემი და სოციუმი. ინდივიდუალურ დონეზე პირადი გამოცდილება და ბიოლოგიური ფაქტორები ახდენენ ინდივიდის ქცევაზე გავლენას. ამ ფაქტორებს შორის შესაძლოა იყოს ბავშვის უგულებელყოფა, ნივთიერების ავადმოხმარება, ფსიქიკური აშლილობები, ძალადობრივი გამოცდილება და ა.შ. მოძალადედ ან მსხვერპლად ჩამოყალიბებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ისეთმა პირადმა ურთიერთობებმა, როგორიცაა ოჯახი, მეგობრები, ინტიმური პარტნიორები და ა.შ, რამდენად აგრესიულ/მშვიდობიან ადამიანებთან აქვს პიროვნებას ურთიერთობა და სხვა. ძალადობაზე გავლენას ახდენს თემიც, რომელშიც სოციალურ ურთიერთობებს აქვს ადგილი, მაგალითად სკოლა, სამეზობლო, სამსახური და სხვა. რისკფაქტორს შესაძლოა წარმოადგენდეს უმუშევრობა, ადგილობრივი კრიმინალის დონე და ა.შ. ძალადობის დაგმობასა თუ წახალისებაზე გავლენას ახდენენ ისეთი სოციალური ფაქტორები, როგორიცაა ეკონომიკა, სოციალური პოლიტიკა, კულტურული ნორმები (მაგ. მამაკაცის დომინანტობა ქალზე), ძალადობრივი აღმზრდელობითი კულტურა და სხვა. (Violence prevention alliance, 2019)

ოჯახური ურთიერთობების მიდგომა (the household bargaining approach) და რესურსებზე დამოკიდებულების თეორია ქალთა პერსპექტივიდან განიხილავს მატერიალური რესურსების როლს. ამ მიდგომის მომხრე ეკონომისტთა აზრით თითოეული პარტნიორის მატერიალურ წილს, იქნება ეს შემოსავალი თუ საკუთრება, განაპირობებს ოჯახში ხმის/გადაწყვეტილების მიღების უფლებას. (Ticci, 2017) მსგავს

მოსაზრებას იზიარებს შედარებითი რესურსების თეორიაც, რომლის თანახმადაც კაცები საკუთარი მამაკაცურობის საფრთხედ აღიქვამენ პარტნიორთა უკიდურესად მაღალ შემოსავალს, ქონებას, პრესტიჟსა და განათლებასაც კი, რამაც შესაძლოა მათ ძალადობრივ ქმედებას შეუწყოს ხელი. (Ticci, 2017) ამ თეორიას ატკინსონი უპირისპირებს გენდერული რესურსის თეორიას (gendered resources theory), რომლის მიხედვითაც შედარებით რესურსებს მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ მამაკაცს ტრადიციული შეხედულებები აქვს გენდერულ როლებზე, ხოლო თუ პარტნიორი ტოლეტანტობასა და მხარდაჭერას იჩენს ქალის კარიერის, შემოსავლისა და მიღწევებისადმი, მისი წარმატებითაც არ იგრძნობს თავს საფრთხის ქვეშ. (Atkinson, 2005)

თანამედროვე ფემინიზმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარია ის ფაქტი, რომ მან აიძულა ადამიანები გაეაზრებინათ ოჯახში ძალადობის რეალობა. სწორედ ფემინიზმის დამსახურებაა ძალადობის რეალობის გამოაშკარავება. ოჯახში პატრიარქალური ძალადობა ეყრდნობა იმ მოსაზრებას რომ ძლიერი (მამაკაცი) ჩაგრავს, აკონტროლებს სუსტს (ქალს). ტერმინი "პატრიარქალური ძალადობა" გაჩნდა იმისთვის, რომ ხალხისთვის ნათელი ყოფილიყო, რომ საქმე ეხება სექსისტურ აზროვნებასა და მამაკაცის დომინანტურ პოზიციებს. (მერკვილაძე, 2014) ფემინისტური თეორია კრიტიკულად აანალიზებს ნორმებს, რომლებიც წარმართავენ ქცევას და საზოგადოებაში ძალადობას იყენებენ. ფემინისტური თეორიის თანახმად, მამაკაცებსა და ქალებს შორის უფლება/მოვალეობების გადანაწილება სისტემურ კავშირშია ძალადობის ფორმებთან და ძალადობის ყველა ფორმა ეყრდნობა გენდერს. (ფრეიზერი, 2012) ფემინისტური თეორიის თანახმად, კულტურული ნორმები მჭიდრო კავშირშია ქალთა მიმართ ძალადობასთან. ოჯახში ძალადობის ძირითად მიზეზად სახელდება გენდერული უთანასწორობა, რომელიც ერთ-ერთი მიზეზია ქალების მარგინალიზაციის. (Sokoloff, 2004)

სოციალური დასწავლის თეორია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თეორიაა ძალადობის ასახსნელად. ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის მიხედვით, ადამიანი საკუთარ ქცევებს სწავლობს სოციალურ ქცევაზე დაკვირვებით. მის თანახმად მამაკაცის მიერ ქალთა მიმართ ძალადობა არის დასწავლილი ქცევა, რომელიც განმტკიცებულია ოჯახებისა და საზოგადოების პოზიტიური დამოკიდებულებებით.

ანუ ადამიანი სწავლობს იმას რასაც ხედავს, როგორ გარემოშიც იზრდება და უწევს ყოფნა. მოძალადე ახდენს ე.წ მოდელირებას, ანუ დასწავლილ ქცევას ავლენს თვითონაც. როდესაც ადამიანი ავლენს ქცევას იგი აკვირდება რამდენად მისაღებია ეს მის გარემოში. ბანდურას აზრით არსებობს 3 წყარო, საიდანაც ადამიანი სწვალობს ძალადობრივ ქცევას, ესენია: ოჯახი, კულტურა და მედია. (Bandura, 1986)

ერთ-ერთი მოდელი ჩამოაყალიბა ჰაგემან-უაითმა, რომელიც გამოყოფს სხვადასხვა დონის რისკ-ფაქტორებს: საზოგადოების, ინსტიტუტების, ოჯახების/თანატოლების და ინდივიდუალურ დონეზე. (Hagemann-White, 2010) ამ მოდელზე დაყრდნობით სხვადასხვა ავტორები ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სტრატეგიებს განიხილავენ. მარიან ესტერის მოსაზრებით მაკრო დონეზე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებაში არსებული იმ დამოკიდებულებების შეცვლა, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა მიმართ ძალადობას, „მაგალითად პოზიტიური იდეების გავრცელებით იმის თაობაზე, თუ რა არის „მამაკაცური ქცევა“. (ესტერი, 2014, p. 12) მიკრო დონეზე ძალადობის განმაპირობებელ ფაქტორად მიიჩნევა ოჯახებში გავრცელებული ისტორიულად თუ კულტურულად განპირობებული გენდერული სტერეოტიპები. ინდივიდუალურ დონეზე მახასიათებლები, რომლებიც მიდრეკილს ხდიან ძალადობისკენ შეიძლება იყოს: არასათანადო აღზრდა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, „მამაკაცური ქცევის გამომხატველი“ ფაქტორების არსებობა და სხვა.. (ესტერი, 2014)

მაიკლ კიმელი საკუთარ ნაშრომში „The Gendered Society” განიხილავს ფროიდისა და სხვა ფსიქოანალიტიკოსების ნააზრევს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, რომლებიც ამ უკანასკნელს ხსნიან ოიდიპოსის კომპლექსის გამოვლინებით. აღნიშნული თეორიის თანახმად მამაკაცის სექსუალური სურვილები ტრანსფორმირდება აგრესიაში, რომელსაც გამოხატავს ქალის მიმართ. მრავალ კულტურაში მამაკაცის მიერ ემოციების გამოხატვა არ ჯდება სოციალურ ნორმებში და ამიტომ მას ამისთვის ერთადერთი გზა - აგრესია/ძალადობა რჩება. მამაკაცმა საჯაროდ უნდა დაამტკიცოს, რომ დედისგან განცალკევება წარმატებით გაიარა და იდენტიფიცირება მამასთან მოახდინა. (Kimmel, 2011)

როგორც ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, მამაკაცთა მხრიდან ქალთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის მიზეზების ახსნას სხვადასხვა ავტორი განსხვავებულად ცდილობს და სხვადასხვა დონეზე ახდენენ ფოკუსირებას. 2017 წლის ნაშრომში „Violence against women" ბარბარა კრაჰე ძალადობის მაპროვოცირებელი ფაქტორების განხილვისას მრავალ კვლევაზე დაყრდნობით სამ ძირითად დონეს გამოყოფს და განმარტავს: 1.მაკრო დონე - საზოგადოება ან სოციალური ჯგუფი სადაც ძალადობა ჩნდება, 2. მიკრო დონე- პარტნიორების ინტერაქცია და ურთიერთობის ფუნქციონირება; 3. ინდივიდუალური დონე - დამნაშავის დონე. (Krahé, 2017)

მაკრო დონის ახსნა

მაკრო დონეზე ძალადობის მიზეზს ხედავენ საზოგადოებაში. პატრიარქალურ საზოგადოებაში დიდი სხვაობაა ქალისა და მამაკაცის როლებსა და ძალას შორის, სადაც მამაკაცს ბევრად მეტი ძალა აქვს და დომინანტია თითქმის ყველა სფეროში და იმ ქვეყნებში სადაც ქალს უფრო ნაკლები შესაძლებლობები და ძალა აქვს, მეტია ძალადობის მსხვერპლი. (Krahé, 2017)

მიკრო დონის ახსნა

ამ დონეზე ხდება წყვილს შორის ურთიერთობის გაანალიზება და იმ მიზეზების პოვნა ურთიერთობაში თუ რა იწვევს აგრესიულ ქცევას. ქორწინებით უკმაყოფილება ერთ-ერთი რისკ ფატქორია აგრესიული ქცევის გამოვლენის. ასევე დიდ როლს თამაშობს ერთ-ერთი ან ორივე პარტნიორის მიერ ალკოჰოლის მოხმარება. (Krahé, 2017)

ინდივიდუალური დონის ახსნა

აღნიშნული ავტორი გამოყოფს ძალადობის ინდივიდულაურ მიზეზებსაც და ნაშრომში გამოყენებული კვლევების საფუძველზე აღნიშნავს, რომ უფრო ახალგაზრდა, ნაკლები განათლების მქონე, ეკონომიკურად ნაკლებად შემლებული კაცები უფრო მეტად არიან რისკის ქვეშ, რომ იძალადონ პარტნიორებზე, ვიდრე შედარებით უფროსი, უფრო განათლებული და შემლებული კაცები. უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან ასევე ინდივიდები სხვადასხვა აშლილობებით და მენტალური დაავადებებით. ტრადიციული კაცის როლი და ქცევები, ბრაზი, ეჭვიანობა, და ა.შ ზრდის რისკს, რომ მამაკაცი გახდეს

მოძალადე. აღსანიშნავია, რომ ყველა კაცი, რომელიც იზრდება პატრიარქალურ საზოგადოებაში არ ხდება მოძალადე. ეს არის კომბინაცია რისკ ფაქტორებისა, რომლებმაც საბოლოოდ შესაძლოა მიგვიყვანოს ფიზიკურ ან სექსუალურ აგრესიამდე ქალთა მიმართ. (Krahé, 2017)

3. ძალადობასა და მის გამოვლენაზე მოქმედი ფაქტორები

ძალადობასა და მის გამოვლენაზე მოქმედ განსხვავებულ ფაქტორებს ასახელებენ სხვადასხვა ავტორები, თუმცა ყველასთან გამოიყოფა რამოდენიმე ძირითადი მიზეზი. 2016 წლის თებერვალში, საქართველოს მთავრობის მოწვევით, ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებელი ქ-ნი დუბრავკა სომონოვიჩი ეწვია. სომონოვიჩის თანახმად, პატრიარქალური დამოკიდებულებები და გენდერული სტერეოტიპები ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ძალადობას. მომხსენებელმა აღნიშნა ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ძალადობას, ესენია: ქალთა ინფორმირებულობის დაბალი დონე, უფლებების არ ცოდნა, ეკონომიკური დამოკიდებულება პარტნიორებზე, ალკოჰოლი, უმუშევრობა და სხვა. აგრეთვე გამოყო მეტად დისკიმინირებული და რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფები. ესენი არიან: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, სოფლად მცხოვრები ქალები - აღმოჩნდა, რომ სოფელში ნაკლები ინფორმაცია აქვთ საკუთარი უფლებების შესახებ, ასევე მეტად არიან ეკონომიურად დამოკიდებული მეუღლეზე, რაც უფრო პრობლემატურს ხდის დაშორებას. (ადამიანის უფლებათა საბჭო, 2016)

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის სპეციალურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ოჯახში ძალადობა განსაკუთრებით მძიმედ აისახება დაბალი შემოსავლის, ან შემოსავლის არმქონე ქალებზე, არასრულწლოვანებზე, ეთნიკურად არაქართველ და შშმ ქალებზე. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016) ძალადობის რისკს ზრდის ასევე დისკრიმინაციული გენდერული სტერეოტიპები და პატრიარქალური დამოკიდებულებები, ქალთა ინფორმირებულობის დაბალი დონე საკუთარი უფლებების შესახებ, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ადრეული/იძულებითი ქორწინება, ნივთიერებათა ავადმოხმარება, უმუშევრობა და ეკონომიკური პრობლემები. (ადამიანის უფლებათა საბჭო, 2016) სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით ქალთა მიმართ ძალადობა მეტად მძიმედ აისახება "დაბალი შემოსავლის ან შემოსავლის არმქონე ქალებზე, განათლების არმქონე ქალებზე".

3.1 განათლება

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი რისკ ფაქტორია განათლების დაბალი დონე, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს როგორც მოძალადესა და ასევე ძალადობის მსხვერპლთან. სხვა ორგანიზაციების მსგავსად, მსოფლიო ჯანდცავის ორგანიზაციაც ცდილობს ძალადობის პრევენციას, რისთვისაც იგი განათლებას იყენებს. ფორმალური განათლება ხელს უწყობს მნიშვნელოვანი სოციალური უნარების განვითარებას, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებასა და სხვა საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. სათანადო განათლებას საკლასო ოთახში ან მის გარეთ, შეუძლია დაეხმაროს ახალგაზრდებს, რომ იცხოვრონ ძალადობრივი გარემოსგან შორს. (world health organization, 2017)

2016 წელს გაეროს სპეციალური მომხსენებლის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიშის მიხედვით, ძალადობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია არასრული საშუალო განათლების მქონე ქალებში (60%), ვიდრე საშუალო, ტექნიკური ან უმაღლესი განათლების მქონე ქალებში (35%), ხოლო იმ ქალებს შორის, რომლებსაც არ გააჩნიათ შემოსავალი, ეს მაჩვენებელი არის 76.6%. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც სავარაუდოდ პარტნიორთა მხრიდან ძალადობის რისკს ზრდის, ერთ-ერთია ქალთა დაბალი ინფორმირებულობა მათი უფლებების შესახებ. (ადამიანის უფლებათა საბჭო, 2016)

ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებელი დუბრავკა სიმონოვიჩი 2016 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ სიტყვიერი ან/და ფიზიკური ძალადობის შემთხვევების რიცხვი უფრო მაღალია დაბალი ფორმალური განათლების მქონე ქალებში. (ადამიანის უფლებათა საბჭო, 2016) მომხსენებელი ასევე აღნიშნავს, რომ იმ გოგონებს, რომლებმაც ადრეულ ასაკში მიატოვეს სკოლა და არ აქვთ საკმარისი განათლება, დასაქმებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების ნაკლები პერსპექტივა გააჩნიათ, შესაბამისად, ისინი იძულებულნი არიან აიტანონ ძალადობის ფაქტები, რადგან ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან მოძალადეებზე. (ადამიანის უფლებათა საბჭო, 2016) ამავე ანგარიშის მიხედვით, იძულებითი ქორწინების ძირითადი მიზეზები, როგორც სპეციალურ მომხსენებელს ვიზიტის დროს განუმარტეს, არის საზოგადოების

ინფორმირებულობის დაბალი დონე და ის ფაქტი, რომ საზოგადოებამ არ იცის, რომ ადრეული ქორწინება არის კანონსაწინააღმდეგო ხასიათის ქმედება. ასევე, გოგონებისა და მათი მშობლების განათლების დაბალი დონე. (ადამიანის უფლებათა საბჭო, 2016) მომხსენებელი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ძალადობის პრობლემა კვლავ რჩება "პირადულ საკითხად" და არ წარმოადგენს საზოგადოების შეშფოთების საგანს. ამ პრობლემებთან ერთად დაბალია ძალადობის ფორმების აღრიცხვაც, რაც მისი აზრით, გამოწვეულია საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობით ამ პრობლემის შესახებ და იმის შიშით, რომ იქნებიან სტიგმის მსხვერპლნი. (ადამიანის უფლებათა საბჭო, 2016)

ინფორმირებულობის დაბალი დონე და საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის არ ქონა ძალადობის ფაქტების ერთ-ერთი რისკ ფაქტორია. ინფორმაციის არ ქონის გამო. ქალებს მიაჩნიათ, რომ ეს საკითხი არის პირადული. "2009 წელს ჩატარებული ეროვნული კვლევისას გამოკითხული ქალების 78.3%, რომელთა უმრავლესობა სოფლად მცხოვრები იყო, ფიქრობდა, რომ ოჯახური პრობლემები უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ოჯახში. 52.1%-ის აზრით კი, თუ ქალს შეურაცხყოფას აყენებს მისი პარტნიორი, ამაში არ უნდა ჩაერიოს საზოგადოება". (ადამიანის უფლებათა საბჭო, 2016, p. 7)

საზოგადოებას ასევე არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მექანიზმები არსებობს ქვეყანაში ძალადობის წინააღმდეგ. 2010 წელს ჩატარებული "ოჯახში ძალადობის კვლევის" საბოლოო ანგარიშის მიხედვით, რომელიც განახორციელა "ეი სი თი კვლევამ" და სადაც გამოკითხული იყო საქართველოს 1200 მოქალაქე, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 35.1% თვლის, რომ ქვეყანაში არ არსებობს ოჯახში ძალადობის პრევენციული/შემაკავებელი რაიმე სახის მექანიზმი, 14.8% თვლის, რომ ასეთი მექანიზმები არსებობს, ხოლო გამოკითხულთა ნახევარს (50.1%) გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. (ჩიტაშვილი, 2010) ქალთა მიმართ ოჯაში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევის მიხედვით, რომელიც 2010 წელს განხორციელდა, ქალთა მიმართ მაკონტროლებელი ქმედებები ასევე მჭიდრო კავშირშია განათლების დონესთან. კვლევის მიხედვით, რაც უფრო დაბალია ქალის განათლების დონე, მით უფრო მაღალია მაკონტროლებელი ქმედებების პროცენტულობა. მაგალითად ქალების 60%, რომლებსაც აქვთ არასრული საშუალო განათლება უფრო ხშირად ექცევიან პარტნიორის კონტროლის

ქვეშ, ვიდრე სრული საშუალო, პროფესიული ან უმაღლესი განათლების მქონე ქალები. (35%) არასრული საშუალო განათლების მქონე უფრო მეტი რესპოდენტი საუბრობს ქმრების მხრიდან შეზღუდვებზე, თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვაზე, სხვა მამაკაცთან დალაპარაკების შეზღუდვაზე, ექიმთან წასვლის ნებართვაზე. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო იმატებს განათლების დონე, მით უფრო იკლებს პროცენტული მაჩვენებელი იმ რესპოდენტებისა, ვისაც ქმრისგან სჭირდებათ ნებართვა ექიმთან წასვლის შესახებ. (ჩიტაშვილი, 2010) აღსანიშნავია ისიც, რომ იმ ქალებს, რომლებსაც განათლების დაბალი დონე აქვთ, ხშირად უჭირთ ზოგიერთი ძალადობის ფორმის ამოცნობა. კვლევის მიხედვით, არარსული საშუალო განათლების მქონე ქალთა 12%, სრული საშუალო განათლების მქონე ქალთა 24% და უმაღლესი განათლების მქონე ქალთა 32%-მა მოახდინა საკუთარი თავის იდენტიფიცირება როგორც ემოციური ძალადობის მსხვერპლი. აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ განათლებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ძალადობასთან მიმართებაში. მოცემული შედეგების შესაბამისად, რაც უფრო განათლებულია ქალი, მით მეტად შეუძლია ემოციური ძალადობის ფორმის ამოცნობა. მსგავსი შედეგებია კონტროლის მხრივაც, იმ ქალების 60%, რომელთაც აქვთ არასრული საშუალო განათლება, ყოფილა პარტნიორის მხრიდან კონტროლის ობიექტი, ხოლო იგივე მაჩვენებელი სრული საშუალო, პროფესიული ან უმაღლესი განათლების მქონე ქალების მხოლოდ 35%-ს წარმოადგენდა. (ჩიტაშვილი, 2010)

საინტერესოა ამავე კვლევის რესპოდენტების განათლების დონის მიხედვით მიღებული შეხედულებები. აღსანიშნავია, რომ განათლების დონის ზრდასთან ერთად იმატებს იმ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც არ ეთანხმება შეხედულებას, რომ "ცოლის მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თავად ეს არ სურს." (ჩიტაშვილი, 2010) აღსანიშნავია, რომ ზოგადად განათლება ადამიანს უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს და ქალებიც უფრო გახსნილები არიან საკუთარ ძალადობრივ გამოცდილებაზე საუბრისას. (ჩიტაშვილი, 2010)

3.2. რელიგია/კულტურა

ქალები/გოგონები მსოფლიოს ირგვლივ ხშირად ხდებიან ადგილობრივი ტრადიციების საზიანო და საშიში შედეგების მსხვერპლნი, რომლებიც დიდწილად

რელიგიური შეხედულებებით, ან სოციალური თუ კულტურული ჩვეულებებითაა შთაგონებული. ამის ყველაზე ნათელი მაგალითებია ე.წ. „ღირსების დანაშაული“ და იძულებითი ქორწინება. (Bonewit, 2016) ეგრედ წოდებულ „ღირსების დანაშაულად“ მიიჩნევა დანაშაული, რომელსაც მოძალადეები ხსნიან/ამართლებენ ოჯახის ღირსების დაცვის მოტივით. მსგავსი დანაშაულის მსხვერპლ ქალებს უმეტესად ადანაშაულებენ ტრადიციული ოჯახისა თუ საზოგადოების ნორმების შეუსაბამო ქცევაში, როგორიცაა ოჯახის თანხმობის გარეშე პირადი ურთიერთობის ქონა, ქალიშვილობის დაკარგვა, განქორწინების სურვილი და ზოგჯერ გაუპატიურებაც კი. თუმცა „ღირსების დანაშაული“ ძირითადად ისლამთან ასოცირდება, მას ხშირად აქვს ადგილი ქრისტიანობასა და იუდეველობაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიის ლიდერები უარყოფენ მსგავს პრაქტიკას, შესაბამისად, ასეთ დანაშაულს ადგილი აქვს ისეთ გარემოში, სადაც კულტურა და ტრადიციები ოჯახზეა ორიენტირებული და შესაბამისად ინდივიდი და მისი სურვილები რომლებიც ოჯახისას ეწინააღმდეგება, სამარცხვინოდ აღიქმება. (Prpic, 2015) იძულებით ქორწინებად ითვლება ნებისმიერი ქორწინება, რომელიც ერთი ან ორივე მხარის თანხმობის გარეშე ხდება, ან თუ ერთ-ერთ ან ორივე მხარეს ეზღუდება ქორწინების დასრულების უფლება გარკვეული მიზეზით, იქნება ეს იძულება, თუ ძლიერი ზეწოლა ოჯახისა თუ საზოგადოების მხრიდან. (Bonewit, 2016) იძულებითი ქორწინება გაეროს მიერ გენდერზე დაფუძნებულ ძალადობადაა მიჩნეული და მოიცავს ფიზიკურ, სქესობრივ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობას, ან მის მუქარას. ქალები იძულებითი ქორწინების მსხვერპლი ხდებიან სტერეოტიპული ტრადიციების გამო, რომელთა თანახმადაც გოგონები ვალდებული არიან დაემორჩილონ ოჯახურ ტრადიციებს. აღსანიშნავია, რომ ხშირად იძულებითი ქორწინება „ღირსების დანაშაულის“ მიზეზი ხდება. (Bonewit, 2016)

მსოფლიო ბანკმა საქართველოში ჩაატარა კვლევა "გენდერული ძალადობა საქართველოში" რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1513-მა ქალმა, 1501-მა მამაკაცმა (სულ 3014 ადამიანი), რესპოდენტები იყვნენ როგორც თბილისში მცოვრებლები, ასევე რეგიონების მოსახლეები. .კვლევის თანახმად ქართულ საზოგადოებაში კვლავ ფართოდაა გავრცელებული გენდერული ნორმები. როგორც მამაკაცები, ასევე ქალები, თვლიან, რომ ოჯახში როლები და ფუნქციები გადანაწილებული უნდა იყოს

პატრიარქალური წესით. ასევე რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ გადაწყვეტილებას ოჯახში უნდა იღებდეს მამაკაცი, ქალების 76%-ს მიაჩნია, რომ საბოლოო სიტყვა კაცს ეკუთვნის გადაწყვეტილების მიღებისას. რესპოდენტი ქალების 26% თვლის, რომ ქალმა უნდა აიტანოს ძალადობა, რათა ოჯახი შეინარჩუნოს. საქართველოში მცხოვრები ხალხის უმრავლესობა არ ამართლებს პარტნიორზე ფიზიკურ ძალადობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც "ღირსებას" ეხება საკითხი. იმ მიზეზებს შორის, რის გამოც გამართლებულად თვლიან ფიზიკურ ძალადობას, არის ერთგულებისა და მორჩილების თემა. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაწილეების უმრავლესობა თვლის, რომ ძალადობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქალებს, ერთერთი რესპოდენტი აღნიშნავს "ქალმა იმ დონემდე არ უნდა მიიყვანოს მამაკაცი, რომ მან ხელი აღმართოს მასზე". (World bank group, 2017)

დისკრიმინაციული გენდერული სტერეოტიპები და პატრიარქალური შეხედულებები ღრმად არის ქართულ საზოგადოებაში ფესვგადგმული, რაც ეწინააღმდეგება თანასწორობის იდეას და ქალთა მიმართ ძალადობას უწყობს ხელს. პატრიარქარულ დამოკიდებულებების გავრცელებას ასევე ხელს უწყობს მედიასა და პოლიტიკურ დებატებში კონსერვატიზმის ზრდა, რაც ხშირად რელიგიური ორგანიზაციების მიერაა შთაგონებული. (ადამიანის უფლებათა საბჭო, 2016) 2014 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით „კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“ სოციალური როლების გადანაწილება გენდერული ნიშნით ხდება და ინდივიდთათვის ისეთ სპეციფიკურ მოვალეობებს განსაზღვრავს, როგორიცაა: ქალის მთავარ მოვალეობად ოჯახზე ზრუნვის მიჩნევა, ბავშვებზე ზრუნვის დედის მოვალეობად მიჩნევა, ოჯახში გადამწყვეტი ხმის კაცისთვის მინიჭება, ოჯახის შენარჩუნების მიზნით ქალის მხრიდან მისთვის მიყენებული შეურაცხყოფის მოთმენის ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ თითოეულ აღნიშნულ დებულებას რესპოდენტთა 70%-ზე მეტი ეთანხმება და მათ ქალები და კაცები თანაბრად იზიარებენ. (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2014)

3.3. ეკონომიკა

მრავალმა კვლევამ აჩვენა კავშირი ძალადობის ფაქტებსა და ეკონომიკურ მდგომარეობას შორის. დაბალი შემოსავალი, უმუშევრობა, კარიერული სტრესი და

სიღარიბე ასოცირდება ინტიმურ პარტნიორზე ძალადობასთან. ეკონომიკური კონტროლი ძალადობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, რომელიც ფინანსურ დამოკიდებულებას იწვევს და ერთი პარტნიორის მეორეზე სრულ კონტროლს უწყობს ხელს. (Matjasko, 2013) კვლევების მიხედვით, ოჯახური ძალადობის მეტი რისკია ღარიბ ოჯახებში, ვიდრე საშუალო და მაღალშემოსავლიან ოჯახებში. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის თანახმად, ძალადობის მსხვერპლ ქალთა რაოდენობა გაცილებით მეტია ნაკლებშემოსავლიან, ვიდრე შედარებით მაღალშემოსავლიან ოჯახებში. (Zhang, 2010) ძალადობის ფაქტები 2.5-ჯერ უფრო ხშირია ღარიბ უბნებში. ასევე მაღალია მამაკაცის მხრიდან ძალადობის რისკი იმ შემთხევვაში, თუ იგი არის დაუსაქმებელი. (Whittaker, 2015) ძალადობის ფაქტებს განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით საშუალო ან დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა თანახმად, მსოფლიოს მასშტაბით 15-69 ასაკის ადამიანებს შორის ინტიმურ პარტნიორზე ძალადობას ყველაზე ხშირად ადგილი აქვს აფრიკის დაბალი ან საშუალო შემოსავლის ქვეყნებში, მეორე ადგილზე კი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიაა. (World health organization, 2010)

როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს კავშირი ქალთა მიმართ ძალადობასა და ეკონომიკურ დამოკიდებულებას შორის. სიღარიბე და დაუსაქმებლობა ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი რისკ ქაფტორადაა მიჩნეული. ეკონომიკური რესურსები მოქმედებს ქალის უნარზე, თავი დააღწიოს ძალადობრივ ურთიერთობას. როდესაც ქალი დაუსაქმებელია, იგი განიცდის ეკონომიკური რესურსების ნაკლებობას, რაც ხელს უშლის მოძალადის მიტოვებაში. ძალადობას შესაძლოა ხელი შეუწყოს მამაკაცის უმუშევრობამაც, რადგან ამ შემთხვევაში ქალია ოჯახის მარჩენალი, მამაკაცი კი ამას საფრთხედ აღიქვამს, რადგან კარგავს კონტროლს, რომელიც სოციალურად გამყარებულია ბევრ კულტურაში. (Bonewit, 2016)

სიღარიბისა და ძალადობის ურთიერთკავშირი კომპლექსურია. ზოგიერთ სიტუაციაში, სიღარიბემ შეიძლება გაამძაფროს ოჯახური ძალადობა. თუ ქალებს არ აქვთ ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მათ შეიძლება თავი უფრო მეტად ჩაკეტილად იგრძნონ არაჯანსაღ ურთიერთობაში. სხვა სიტუაციებში, ოჯახში ძალადობამ შეიძლება გამოიწვიოს სიღარიბე ქალებისთვის, რადგან ქალები, რომლებიც თავს აღწევენ

ძალადობრივ ურთიერთობებს, ხშირად რჩებიან ფინანსური რესურსის გარეშე. მათ ასევე ხშირად აქვთ ნაკლები სამუშაო გამოცდილება, დაბალი განათლების დონე, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ნივთიერებებზე დამოკიდებულება და სხვა. ძალადობას გადარჩენილი ქალები აღნიშნავენ, რომ ძალადობისგან თავისუფალ და დამოუკიდებელ ცხოვრებას მიაღწიეს დამხმარე სოციალური სერვისების მეშვეობით როგორიცაა მაგალითად თავშეფასარი, კონსულტაციები და სხვა. (Zhang, 2010)

იდეა, რომ ეკონომიკურ მდგომარეობას გავლენა აქვს პარტნიორზე ფიზიკურ, სქესობრივ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, სიახლეს აღარ წარმოადგენს და ბოლო წლების სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მიკრო დონეზე ძალადობა სამ ძირითად ეკონომიკურ კონცეპტთანაა კავშირში: ოჯახის სრული შემოსავალი, ქალის შემოსავლის შეფარდება მამაკაცის შემოსავალთან და მასში ცვლილება. (Ticci, 2017) დაბალი განათლების მქონე ქალები, რომელთათვისაც სამსახურის პოვნა უფრო რთულია, უფრო მეტი რისკის ქვეშ არიან გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი. რისკ ფაქტორს წარმოადგენს მცირეწლოვანი ბავშვების ყოლაც, რამდენადაც მათი აღზრდა უმეტეს შემთხვევაში ქალის მოვალეობად მიიჩნევა და შესაბამის ფინანსურ მხარდაჭერასაც საჭიროებს. (Ticci, 2017)

4. მოძალადესთან დარჩენის მიზეზები

ძალადობის მსხვერპლი მოძალადის მიტოვების სურვილის შემთხვევაში მრავალ ბარიერს აწყდება. ბარიერებს შორისაა: მოძალადეზე ეკონომიკური დამოკიდებულება, სოციალური მხარდამჭერების ნაკლებობა, სოციუმის მხარდაჭერის არარსებობა, კანონები და დამსაქმებლები. სამუშაო გარემო ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იმ შემთხვევაში თუ ქალი დასაქმებულია, დამსაქმებელმა ხელი უნდა შეუწყოს მას ამ გადაწყვეტილების მიღებასა და შესაბამის რეაგირებაში. გარეგანი ფაქტორების გარდა არსებობს შინაგანი ფაქტორებიც. ერთ-ერთი ასეთია ბავშვების ყოლა. ძალადობის მსხვერპლი ფიქრობს, რომ უმჯობესია ძალადობრივ ურთიერთობაში დარჩენა, რათა ბავშვებს ორივე მშობელი ჰყავდეთ. თეორიტიკოსები გამოყოფენ იმ მიზეზებს, რომლის გამოც მსხვერპლები რჩებიან მოძალადეებთან: მარტოობის შიში, ბავშვზე ზრუნვა, ფინანსური პრობლემები, საზოგადოების შიში, ფიზიკური ზიანის შიში, ნაკლები სოციალური მხარდაჭერა და სხვა. (Michaels, 2016)

მსგავს მიზეზებს გამოყოფენ სხვა ავტორებიც, მათ შორის ჩარლს ზასტროუ, რომლის თანახმადაც მოძალადესთან დარჩენაზე შემდეგი ფაქტორები მოქმედებს: ეკონომიკური დამოკიდებულება - ბევრი ქალი, რომელიც მეუღლისგან განიცდის ძალადობას ეკონომიკურად დამოკიდებულია მასზე, ხშირად ეს ხდება იმის მიზეზი, რომ ვერ აღწევენ თავს ძალადობრივ ურთიერთობას. (Zastrow, 2006)

- საკუთარი თავის რწმენის დეფიციტი - ძალადობისას ხშირია მამაკაცის მხრიდან ქალის თვითშეფასებაზე უარყოფითი გავლენა. მამაკაცი პარტნიორს გამუდმებით აკრიტიკებს და ამცირებს, რის შედეგადაც ქალს უდაბლდება თვითშეფასება და უქრება საკუთარი თავის რწმენა. (Zastrow, 2006)
- მოძალადის შიში - ხშირად მიზეზი თუ რის გამო არ შორდებიან ქალები მოძალადეებს არის ისევ მოძალადის შიში. ხშირად ქალების სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე სწორედ ამიტომ რჩებიან ძალადობრივ ურთიერთობაში. (Zastrow, 2006)

- დანაშაულის გრძნობა - ხშირად ქალებს სჯერათ რომ თვითონ არიან დამნაშავეები არსებულ სიტიაციაში, რომ თვითონ გამოიწვიეს ძალადობა და მათი ქცევის გამო აქვთ პრობლემები პატრნიორთან, ეს ხშირად გაბატონებული კულტურული ნორმებით ან პარტნიორის მუდმივი დადანაშაულებითაა გამოწვეული. (Zastrow, 2006)
- შიში ბავშვების გამო - ეს საკითხი ძალიან რთული და კომპლექსურია, მსხვერპლ ქალს ეშინია, რომ შეიძლება დაკარგოს ბავშვები, ან ვერ შეძლოს მათი უზრუნველყოფა და კეთილდღეობა, ასევე მოქმედებს არსებული ტრადიციული შეხედულებები, ზოგიერთი ქალი თვლის, რომ უმჯობესია ბავშვებს ჰყავდეთ მოძალადე მამა, ვიდრე იზრდებოდნენ მამის გარეშე. (Zastrow, 2006)
- სიყვარული - მიუხედავად მუდმივი ძალადობისა, არსებობენ ქალები, რომლებსაც უყვართ მოძალადე პარტნიორები. (Zastrow, 2006)

სპეციალური მომხსენებელი ქ-ნი დუბრავკა სომონოვიჩი გამოყოფს იმ ფაქტორებს, რომლის გამოც ქალები არ მიმართავენ დახმარებას ძალადობის შემთხვევაში, ამ ფაქტორებს შორისაა: ინფორმირებულობის დაბალი დონე, უნდობლობა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, სტიგმატიზაციის შიში, მექანიზმების და სერვისების გაუმართაობა და სხვა. (ადამიანის უფლებათა საბჭო, 2016)

2016 წელს სახალხო დამცველის მიერ განხილულ ოჯახში ძალადობის 20-მდე საქმეში მსხვერპლი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ პარტნიორზე ეკონომიკური დამოკიდებულება მათი მხრიდან ძალადობის განმეორებით მოთმენის მთავარი მიზეზია. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016)

ხშირია მსხვერპლის მხრიდან საქმისწარმოების გაგრძელებაზე უარის შემთხვევები და საქართველოს სახალხო დამცველი ამის სავარაუდო მიზეზებად ასახელებს სამართალდამცავი უწყებებისადმი უნდობლობას, ძალადობის გაძლიერების შიშს, არსებული მექანიზმებისა თუ სერვისების ეფექტიანობაში დაურწმუნებლობას, ეკონომიკურ და საცხოვრებლის პრობლემებს. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016) მსოფლიო ბანკის კვლევის რესპოდენტებმა იმ მიზეზებს შორის, რის გამოც ქალები არ

საუბრობენ ძალადობაზე, დაასახელეს სტიგმა. კითხვაზე, უნდა ჩაერიონ თუ არა სხვა პირები თუ კაცი ცუდად ექცევა პარტნიორს, რესპოდენტთა 43%-მა უპასუხა - არა, ხოლო იმაზე შეიტყო თუ არა პოლიციამ ძალადობის ფაქტის შესახებ 82%-მა უპასუხა "არა, მე არ შემიტყობინებია. ქალები იმ მიზეზებს შორის, რატომაც არ შეატყობინეს პოლიციას აღნიშნული ფაქტი ასახელებენ "ოჯახის საქმე იყო" (56%) ქალები ფიქრობენ, რომ იურიდიული სისტემა ვერ მოახერხებს მათ დაცვას ძალადობისგან, მათ არ აქვთ იმედი და ნდობა ქვეყანაში არსებული სისტემის. (World bank group, 2017)

5. საქართველოში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის არსებული სერვისები

საქართველოში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის არსებული გამოწვევების გასააზრებლად საჭიროა ქვეყანაში არსებული სერვისების მიმოხილვა. საქართველოს მთავრობა ძალადობის მსხვერპლთათვის უზრუნველყოფს ისეთ მომსახურებებს როგორებიცაა: სამედიცინო და იურიდიული მომსახურება, ფსიქიატრის კონსულტაცია, თავშესაფრით უზრუნველყოფა, მხარდაჭერის ჯგუფები და სხვა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარი არ არის ინფორმირებული სამედიცინო მომსახურების შესახებაც კი. მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის რესპოდენტთა 5%-ზე ნაკლებს სმენია თავშესაფრის შესახებ. (World bank group, 2017)

"ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი" 2003 წლის ოქტომბერში, ოჯახური ძალადობის პრევენციის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მიზნით ჩამოყალიბდა. იგი აერთიანებს 22 კრიზისულ/სარეაბილიტაციო ცენტრს (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, გურჯაანი, ზუგდიდი, მცხეთა, გორი, ოზურგეთი, ამბროლაური, მესტია, ახალციხე). „ძდექი“ ძალადობის მსხვერპლებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისს:

იურიდიული კონსულტაცია - იურისტი ბენეფიციარს წარმომადგენლობას უწევს პირველი ინსტაციის სასამართლოში, ასევე მომმართველები კონსულტაციას იღებენ (როგორც სატელეფონო, ასევე შეხვედრისას) ორგანიზაციის იურისტისგან.

ფსიქოლოგის დახმარება - გარდა ქალებისა, ფსიქოლოგიური მომსახურება მიეწოდებათ ოჯახის სხვა წევრებსაც, მომსახურებაში შედის: ინდივიდუალური კონსულტაცია, ჯგუფური თერაპია, სოციალური უნარების ტრენინგი.

სოციალური მუშაკის დახმარება - როგორც კრიზისულ ცენტრში, ასევე თავშესაფარში ბენეფიციარები სრულად იღებენ სოციალური მუშაკის დახმარებას.

თავშესაფრის მომსახურება - ბენეფიციარებს შეუძლიათ (ბავშვებთან ერთად) გარკვეული დროის მანძილზე იცხოვრონ თავშესაფარში, პარალელურად თავშესაფარი

ეხმარება მათ დასაქმებაში, გადამზადებაში, სერვისების მიღებაში, ოჯახთან კომუნიკაციაში.

ცხელი ხაზი - ცხელი ხაზის მეშვეობით მომმართველები იღებენ სრულ ინფორმაციას არსებული სერვისების შესახებ, ასევე იღებენ კონსულტაციას სხვადასხვა იურიდიულ, ფსიქოლოგიურ თუ სოციალურ საკითხებზე.

ყველა არსებული სერვისი უფასოა და ანონიმურობა დაცულია. (ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, 2015)

"ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"-ს ფარგლებში ფუნქციონირებს 8 სტრუქტურული ერთეული (თავშესაფარები/კრიზისული ცენტრები), თბილისში, ბათუმში (საჭიროების შემთხვევაში, მომსახურებას უწევს ასევე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს/დაზარალებულებს და მათზე დამოკიდებულ პირებსაც), გორში, ქუთაისში, სიღნაღში, ოზურგეთსა და მარნეულში. თავშესაფრის ან კრიზისული ცენტრის სერვისების ფარგლებში სახელმწიფო ფონდი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლს/ დაზარალებულს/სავარაუდო მსხვერპლს (მასზე დამოკიდებულ პირ(ებ)თან ერთად) უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურებებით:

- ფსიქოლოგიურ–სოციალური დახმარება/რეაბილიტაცია;
- სამედიცინო მომსახურება;
- სამართლებრივი დახმარება (მათ შორის, სასამართლო და სამართალდამცავ ორგანოებში წარმომადგენლობით);
- საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებით;
- ოჯახსა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა;
- დროებითი სადღეღამისო საცხოვრისით თავშესაფარი (მხოლოდ მსხვერპლს/დაზარალებულს დამოკიდებულ პირებთან ერთად), რაც მოიცავს კვებით, ჰიგიენის და პირველადი მოხმარების სხვა საშუალებებითუზრუნველყოფას;

- დროებითი სადღეღამისო საცხოვრისი თბილისის კრიზისულ ცენტრში (სავარაუდო მსხვერპლს დამოკიდებულ პირებთან ერთად), რაც მოიცავს კვებით, ჰიგიენის და პირველადი მოხმარების სხვა საშუალებებითუზრუნველყოფას." (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, 2019)

ქალთა საკონსულტაციო ცენტრი "სახლი", რომელიც შეიქმნა 1997 წელს, ხოლო 2000 წელს დაფუძნდა, როგორც დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია. "სახლი" მუშაობს ოჯახში ძალადობის პრობლემაზე და მიზნად ისახავს ძალადობის მსხვერპლთა დახმარებასა და მომსახურებებით უზრუნველყოფას. "სახლს“ ჰყავს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც შედეგება იურისტის, ფსიქოლოგების, ფსიქიატრის, ექიმის, პედიატრისა და სოციალური მუშაკებისაგან. ორგანიზაციის მომსახურებები მოიცავს:

იურიდიული დახმარება - იურიდიული კონსულტაცია; სასამართლო წარმოამდგენლობა; ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებაში დახმარება, რომელიც საჭიროა სახემწიფო სერვისების მისაღებად, მაგ, როგორიცაა თავშესაფარი;

სოციალური კონსულტაცია - დახმარება ყოველდღიური პრობლემებისა და საჭიროებების მოგვარებაში - მაგ. დასაქმება, სახელმწიფო სერვისებით სარგებლობა, სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა; ფსიქოლოგიური დახმარება და რეაბილიტაცია; ინდივიდუალური ფსიქოლოგიური კონსულტაცია, ფსიქოთერაპია მსხვერპლთათვის და მათი შვილებისათვის; ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან ჯგუფური მუშაობა და ტრენინგები;

სამედიცინო და ფსიქიატრიული კონუსლტაცია - სამედიცინო კონსულტაცია ოჯახის ექიმთან და პედიატრთან; ფსიქიატრის კონუსლტაცია;

დროებითი საცხოვრებელი/განთავსება კრიზისულ ცენტრში - გადაუდებელი მოკლევადიანი განთავსება (4-6 დღე) თბილისისა და ზუგდიდის კრიზისულ ცენტრებში. (ქალთა საკონსულტაციო ცენტრი "სახლი", თ. გ.)

აღნიშნული საკითხის მოგვარებაში აქტიურადაა ჩართული კავშირი "საფარიც", რომელიც არა მხოლოდ ბენეფიციარებთან, არამედ საკანონმდებლო დონეზეც აქტიურად მუშაობს და ცდილობს ძალადობის პრევენციას, საზოგადოების ცნობიერების გაზრდას, ქალთა ეკონომიკურ და უფლებრივ გაძლიერებას. (საფარი, n.d.)

ძალადობის ფაქტებზე მუშაობას დიდი ადგილი უჭირავს ასევე შსს აკადემიის სასწავლო პროგრამაში, სადაც სწავლობენ ისეთ საკითხებს როგორებიცაა: ოჯახში ძალადობის სახეები, შედეგები, გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება და სხვა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვია ასევე შემუშადა "დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე" და "სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისათვის". (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2013)

ძალადობის ფაქტის გამოვლენისას გამოიცემა დამცავი ან შემაკავებელი ორდერები. შემაკავებელ ორდერს გამოსცემს საპატრულო პოლიცია. ხოლო დამცავს პირველი ინსტაციის სასამართლო. ისინი შეიძლება ითვალისიწნებდნენ: მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებლიდან გარიდებას, მხვერპლის თავშესაფარში განთავსებას, თანასაკუთრების უფლების აკრძალვას მოძალადისთვის, მსხვერპლთან სიახლოვის აკრძალვას და სხვა. დამცავი ორდერი გამოიცემა 6 თვემდე ვადით, ამ ვადას განსაზღვრავს სასამართლო. ხოლო შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვემდე ვადით. (საქართველოს პარლამენტი, 2018)

სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშში "საქართველოშო ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" სახლახო დამცველი აღწერს იმ პრობლემებს, რომელიც დაკავშირებულია თავშესაფრებთან და კრიზისულ ცენტრებთან. მისი ანგარიშიდან ვიგებთ, რომ 2018 წელს ფუნქციონირებდა 5 სახელმწიფო თავშესაფარი და 4 კრიზისული ცენტრი, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნისთვის, თუმცა პრობლემად რჩება დასაქმებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შეზღუდული რაოდენობა ძალადობის სმხვერპლი ქალებისთვის, ასევე მსხვერპლებისტვის თავშესაფრის დატოვების შემდეგ საცხოვრებლის უზრუნველყოფა. იმავე ანგარიშში სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ 2018 წელს მნიშვნელოვანი

ნაბიჯები გადაიდგა ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ, თუმცა ქვეყანაში ამ კუთხით კვლავ ბევრი გამოწვევა რჩება. მგალითად პრობლემად რჩება უწყებებს შორის კოორდინირებული, გუნდური მუშაობა, ასევე არ არსებობს ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკის შეგროვების ერთიანი სტანდარტი. ასევე კვლავ დგას ასეთ ქეისებში სოციალური მუშაკების ეფექტური ჩართვის პრობლემა, რაც გამოწვეულია სპეციალისტების მცირე რაოდენობითა და სამუშაოს დიდი მოცულობით. პრობლემურია მოძალადეების ქცევის შეცვლაზე მომუშავე პროგრამების არსებობაც, რადგან არ არსებობს კანონი, რომელიც მოძალადეებს დაავალდებულებს ამ კურსის გავლას. სხვა პრობლემებთან ერთად, ძალიან საგანგაშოა სახალხო დამცველის ანგარიშში აღწერილი პრობლემა, რომელიც ეხება სამართალდამცავების მხრიდან მსხვერპლების მიმართ განხირციელებულ ქცევებს, რომელიც ხშირად შეურაცხმყოფელი და დამცინავია. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2018) აღსანიშნავია, რომ მსგავს პრობლემებს ვხვდებით სახალხო დამცველის 2016 და 2017 წლების ანგარიშებშიც. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2017)

6. კვლევის დიზაინი

- სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიზანი: ქალთა მიმართ ძალადობის, მასზე მოქმედი ფაქტორებისა და არსებული გამოწვევების შესწავლა საქართველოს მაგალითზე.
- კვლევის ამოცანები:
  - იმ ფაქტორთა შესწავლა, რომლებიც შესაძლო გავლენას ახდენენ ქალთა მიმართ ძალადობაზე,
  - იმ ფაქტორების შესწავლა, რომელიც შესაძლო გავლენას ახდენს მსხვერპლის გადაწყვეტილებაზე, არ გაამჟღავნოს ძალადობის ფაქტები და/ან იცხოვროს მოძალადესთან,
  - იმ მომსახურებებისა და გამოწვევევის მიმოხილვა, რომელიც არსებობს საქართველოში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის.
- გამოყენებული მეთოდი: ნაშრომის ფარგლებში გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი - სიღრმისეული პირისპირი და სატელეფონო ინტერვიუ.
- შერჩევა: მიზნობრივი.
- კვლევის მონაწილეები: ძალადობის მსხვერპლი ქალები („ძდექის“ 5 ბენეფიციარი); მომსახურების მიმწოდებლები: „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, იურისტი; „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ სოციალური მუშაკი; სახელმწიფო სოციალური მუშაკები (3 რესპოდენტი); სფეროს ექსპერტი ქ.ნი ლელა გაფრინდაშვილი.
- განხორციელების დეტალები: თავდაპირველ ეტაპზე მოხდა დაკავშირება „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ სოციალურ მუშაკთან, რომლის დახმარებითაც ჩაიწერა ინტერვიუები როგორც „ძდექის“ ბენეფიციარებთან, ასევე ფსიქოლოგსა და იურისტთან. აღნიშნულ ორგანიზაციაში უშუალო პრაქტიკამ და ბენეფიციარებთან წარსულში არსებულმა კომუნიკაციამ ხელი შეუწყო რესპოდენტების ღიაობას. ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის მხრიდან წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მოხდა ინტერვიუების ჩაწერა სახელმწიფო

სოციალურ მუშაკებთან და „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ სოციალურ მუშაკთან. ინტერვიუები ჩაიწერა „ძდექის“ თავშესაფარში, მომსახურების მიმწოდებელთა სამუშაო ადგილას, ასევე საჯარო სივრცეში და დისტანციურად (სატელეფონო ინტერვიუ).

- ეთიკური საკითხები: ყველა რესპოდენტს მიეწოდა ინფორმაცია კვლევის შინაარსისა და კონფიდენციალობის შესახებ. ინტერვიუები ჩაიწერა აუდიო ფორმითაც, რაზეც წინასწარ იქნა რესპოდენტებისგან მიღებული ინფორმირებული თანხმობა.
- კვლევის შეზღუდვები: კვლევის შეზღუდვად შეიძლება მივიჩნიოთ თემის სენსიტიურობა და შესაბამისად, ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხრიდან გახსნილობის ნაკლებობა. ასევე, რესპოდენტებთან დაკავშირების სირთულეები, რაც აგრეთვე თემის სენსიტიურობითაა განპირობებული. ამავე მიზეზით ვერ მოხერხდა იმ რესპოდენტების ჩაწერა, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლები, მაგრამ არ მიმართავენ შესაბამის უწყებებს, რაც აღნიშნული კვლევისთვის ძალიან საინტერესო მონაცემები იქნებოდა. აღნიშნული მონაცემები ვერ იქნება განზოგადებული, რადგან ინტერვიუები ჩაიწერა მხოლოდ თბილისის მასშტაბით და მხოლოდ იმ რესპოდენტებთან, ვისაც გაცნობიერებული აქვს, რომ არის ძალადობის მსხვერპლი და მოახდინა შესაბამისი რეაგირება.

6.1. კვლევის შედეგები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 5 სიღრმისეული ინტერვიუ „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ ბენეფიციარებთან. ასევე თავშესაფრის სოციალურ მუშაკთან, იურისტთან და ფსიქოლოგთან, „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ სოციალურ მუშაკთან, სახელმწიფო სოციალურ მუშაკებთან და სფეროს ექსპერტთან. „ძდექის“ ბენეფიციარები მიეკუთვნებიან სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და სოციალურ ფენას. 3 მათგანი წარმოშობით დედაქალაქიდანაა, დანარჩენი ორი კი ქუთაისიდან და ბათუმიდან. 5 რესპოდენტიდან ოთხს ჰყავს შვილები და არიან

ძალადობის მსხვერპლნი მეუღლეების მხრიდან, მეხუთე კი ორსულადაა და მშობლების მხრიდან ძალადობის გამო მოხვდა დაწესებულებაში. არცერთ მათგანს არ ჰყავს თანადგომის ქსელი ოჯახის სახით, გამომდინარე იქიდან, რომ 4 მათგანს მშობლები დაღუპული, დედმამიშვილები კი სხვა ქალაქსა თუ ქვეყანაში ჰყავს, მეხუთე კი თავად ოჯახის - მშობლების მხრიდან გახდა ძალადობის მსხვერპლი ქორწინების გარეშე ორსულობის გამო. ასევე ბავშვობაში ჰქონდა ოჯახური ძალადობის გამოცდილება მეორე რესპოდენტს, რომელიც ადრეულ ასაკში იქნა ნაშვილები ტყუპისცალ ძმასთან ერთად და წლების მანძილზე მშობლების მუდმივი კონფლიქტისა და მამის მხრიდან დედაზე ძალადობის შემსწრე იყო. ამ უკანასკნელის გარდა, ყველა რესპოდენტი დადებითად იხსენებს ბავშვობას და ხუთივე მათგანი მოწიწებითა და პატივისცემით საუბრობს საკუთარ მშობლებზე, მათ განათლებასა და საქმიანობაზე. გამოკითხულ რესპოდენტთაგან 2 მათგანი ადრეულ ასაკში დაოჯახდა, რასაც ამჟამად არასწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევენ, ერთმა მათგანმა საკმაოდ გვიან და გარიგების შედეგად შექმნა ოჯახი, რაც ასევე არასწორ გადაწყვეტილებად აღიქმება. ადრეულ ასაკში დაოჯახებული რესპოდენტები ამჟამად იმყოფებიან მეორე ქორწინებაში, ხოლო რესპოდენტი, რომელიც ქორწინების გარეშე იმყოფება ორსულად, დანიშნულია (არა მომავალი ბავშვის მამაზე). ყველა მათგანი უარყოფითად იხსენებს მოძალადესთან ურთიერთობას და ნანობს მის გაცნობას.

ყველა რესპოდენტი ბავშვობიდანვე დაინტერესებული იყო სხვადასხვა სფეროთი და აქვთ მრავალმხრივი არაფორმალური განათლება (მუსიკა, სპორტი და ა.შ.), თუმცა აღსანიშნავია, რომ არცერთ მათგანს არ აქვს ზუსტად ის განათლება და კარიერა, როგორის სურვილიც თავდაპირველად ჰქონდათ. გამოკითხული 5 რესპოდენტიდან მხოლოდ იმ ორს აქვს უმაღლესი განათლება, რომლებიც 25 წლის ასაკის შემდგომ დაოჯახდნენ. მათვე აქვთ საკუთარი პროფესიით მუშაობის რამოდენიმე წლიანი გამოცდილებაც. დანარჩენი 3 სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა სხვადასხვა ადგილას, ძირითადად მომსახურების სფეროში. უმაღლესი განათლების მიღების ხელის შემშლელ ფაქტორად ისინი ბავშვის დაბადებას, ან მეუღლის ოჯახის წინააღმდეგობას ასახელებენ, თუმცა ყოველი მათგანი მიიჩნევს, რომ განათლებისა და კარიერის ქონა ძალიან მნიშვნელოვანია და ყველანაირად ცდილობენ საკუთარ შვილებს შეუწყონ ხელი

აღნიშნულის მიღებაში. ამჟამად არცერთ მათგანს არ აქვს სტაბილური სამსახური და უმუშევრობა ყველასთვის უარყოფითად აღიქმება, რასაც ალბათ მათთვის საერთო მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაც განაპირობებს.

ყველა რესპოდენტი აღნიშნავს, რომ მათ ოჯახებში ძალადობას წლების მანძილზე ჰქონდა ადგილი განსხვავებული სიხშირით, 3 მათგანის შემთხვევაში სიტუაცია გაუარესდა ბავშვების დაბადების შემდგომ, თუმცა სწორედ ბავშვების გამო იკავებდნენ თავს მოძალადისგან წამოსვლისგან- „ბავშვები სად უნდა წამეყვანა, ვიფიქრე მაინც მამაა და სჭირდებათ თქო, მაგრამ მაინც არ მიხედა ბავშვებსაც“ აღნიშნავს ერთ-ერთი რესპოდენტი. ოჯახის დანგრევის მიზეზად, ძალადობის ფაქტების გარდა, დასახელდა გარეშე პირთა (მეუღლის ოჯახი) აქტიური, უხეში ჩარევაც წყვილის ურთიერთობაში, მეუღლეების უმუშევრობა, მავნე ნივთიერებების მოხმარება, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და ბავშვების აღზრდისათვის საჭირო პირობების დაუკმაყოფილებლობა. ძალადობის მსხვერპლებს ჰქონდათ მხოლოდ სიტყვიერი თანადგომა/მორალური მხარდაჭერა მეგობრების მხრიდან. საბოლოოდ ოთხი მათგანის მოძალადე ოჯახისგან განცალკევება მოხდა პატრულის, ერთის კი სოც. მუშაკის დახმარებით, თუმცა ორ მათგანს მანამდეც ჰქონდა სიტუაციაში პატრულის ჩართვის უშედეგო მცდელობა. ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავს: „პოლიციას მივმართე, პატრულს და პატრულმა თქვა კვირაა, სად წაგიყვანოო.“ დაწესებულებაში მოხვედრის ფაქტი არცერთი რესპოდენტისთვის არ იყო სასურველი, (ორ მათგანს აქვს სხვა დაწესებულებაში ცხოვრების გამოცდილებაც) რიგ შემთხვევებში სირცხვილის გრძნობაც კი ჰქონდათ იქ ყოფნის გამო, რაც დიდწილად საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების შიშით იყო გამოწვეული, თუმცა მოძალადისგან წამოსვლა ერთმნიშვნელოვნად სწორ გადაწყვეტილებად მიაჩნიათ და თვლიან, რომ უფრო ადრეც იყო საჭირო მისი მიღება. რესპოდენტები კმაყოფილი არიან კონკრეტული დაწესებულების მომსახურებითა და სერვისებით, აქვთ პოზიტიური თვითშეფასება და მთლიანობაში საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილების გრძნობა.

რესპოდენტებს გაუჭირდათ ერთი შესაძლო მიზეზის დასახელება თუ რა უწყობს ხელს ძალადობას, თუმცა ამ მიზეზებს შორის არის მეუღლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ეკონომიკური პრობლემები, გარეშე პირების ჩარევა. ხოლო იმ მიზეზებში,

თუ რატომ არ ამხელდნენ ძალადობის შესახებ ყველა რესპოდენტის პასუხში იკვეთება საზოგადოების დამოკიდებულება, მათ არ უნდოდათ საზოგადოების განხილვის საგანი გამხდარიყვნენ, რადგან ჩვენს კულტურაში მიუღებელია "ოჯახის დანგრევა". ასევე ერთ-ერთი მიზეზი იყო ინფორმაციის არ ქონა, მანამ სანამ არ მიმართეს საპატრულო სამსახურს, მათ არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ თავშესაფრისა და სხვა არსებული რესურსების შესახებ, მოძალადესთან დარჩენის ერთ-ერთი მიზეზი კი სწორედ თავშესაფრის არ არსებობა და არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის არქონაა. აგრეთვე დარჩენის მიზეზებში გამოიკვეთა ისეთი ფაქტორები როგორებიცაა: მოძალადეზე ეკონომიკური დამოკიდებულება, მსხვერპლის გამოცდილების/განათლების არ ქონა, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ დასაქმებას და არ აქვთ საკუთარი შემოსავალი. 4-მა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ეკლესიას არანაირი გავლენა არ ჰქონია ძალადობის ფაქტის გამხელაზე ან რეაგირებაზე, ერთ-ერთმა რესპოდენტმა კი თქვა, რომ ესაუბრა მოძღვარს ამის შესახებ და მოისმინა მისი აზრი, რომ უნდა გადაეწყვიტა ოჯახი დაენგრია ამის გამო თუ არა. ზოგადად, მსგავს სიტუაციაში მყოფი ქალებისთვის ოჯახური ძალადობისგან თავის დაღწევის ბარიერებად გამოკითხული რესპოდენტები მიიჩნევენ საზოგადოების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულების შიშს- „იმდენად თავდახრილი დავდიოდი, მრცხვენოდა ჩემი საქციელის“- აღნიშნავს ერთ-ერთი რესპოდენტი.

რაც შეეხება არსებულ გამოწვევებს, რესპოდენტები ყველაზე დიდ პრობლემას ხედავენ რესურსების სიმცირეში, თავშესაფარში ყოფნის 3 თვე არ არის საკმარისი. ასევე არ არსებობს თავშესაფრიდან გასვლის შემდეგ დამხმარე რესურსები, რაც მათთვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა, რადგან არ აქვთ დასარჩენი ადგილი. მათთვის პრობლემატურია დასაქმების საკითხიც და სურთ, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას. რაც შეეხება თავშესაფარს, ხუთივე ბენეფიციარი ძალიან კმაყოფილია მომსახურებით, თუმცა პრობლემას ხედავენ ძიძის არ არსებობაში, რის გამოც ვერ ტოვებენ მცირეწლოვან ბავშვებს მეთვალყურეობის გარეშე და ამის გამო ვერ იწყებენ სამსახურს. სხვა მომსახურებებით ძალიან კმაყოფილები არიან, განსაკუთრებით გამოყოფენ სოციალური მუშაკის როლს, რომელსაც ხედავენ უფრო მეტად როგორც განმანათლებელს, მედიატორს და მხარდამჭერს სხვადასხვა რესურსების მიღებასა და

"პრობლემები მოგვარებაში." ყველა რესპოდენტი აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგის მომსახურებაც ძალიან დაეხმარათ როგროც მათ, ასევე ბავშვებს განცდილი სტრესის გადატანასა და რეაბილიტაციაში.

გამოკითხული სოციალური მუშაკებისა და სერვისის სხვა მიმწოდებელთა აზრით, ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა საქართველოში. სოციალური მომსახურების სააგენტოში შედის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბავშვზე ძალადობაც ფიქსირდება ოჯახში, თუმცა ამ შემთხვევებშიც კი ძალიან ნათელია ქალთა მიმართ ძალადობის სიმწვავე. ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავს, რომ მომართვიანობა საგრძნობლადაა გაზრდილი ბოლო წლებში, თუმცა ეს არა შემთხვევათა გახშირების, არამედ ინფორმაციულობის გაზრდის შედეგია. იმავე ორგანიზაციის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მომართვიანობა ძირითადად ახალგაზრდების მხრიდან ხდება. აღსანიშნავია ერთ-ერთი სპეციალისტის კომენტარი იმის შესახებ, რომ ხშირად ადამიანებს უჭირთ გარჩევა ორმხრივ კონფლიქტში ჩართულ ადამიანსა და ძალადობის მსხვერპლს შორის. ძალადობის ხელშემწყობ ფაქტორებად აღიქმება საკუთარი შემოსავლისა და საცხოვრებლის არქონა, განათლების დაბალი დონე, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალურ განათლებაზე მეტად რესპოდენტები ცნობიერების ამაღლებას გულისხმობენ, რათა ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა საზოგადოების აზრზე მაღლა საკუთარი კეთილდღეობა დააყენონ. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ინფორმაციის სიმცირე შეიძლება გახდეს მოძალადესთან დაშორების შემთხვევაში ქალის უსახსროდ დარჩენის მიზეზიც და ამის მაგალითად მოჰყავთ მიმდინარე ქეისი „სადაც მამაკაცმა საქორწინო ხელშეკრულებაში ჩაწერა, რომ თანაცხოვრების დროს შეძენილი ქონება მთლიანად იქნებოდა მამაკაცის განქორწინების შემთვევაში, ქალმა კი მოაწერა ამ ხელშეკრულებას ხელი, ახლა კი როდესაც ქმარმა იძალადა და განქორწინება იგეგმება, ქალს არ რჩება საცხოვრებელი ადგილი“. მნიშვნელოვან ფაქტორად გამოყოფენ ასევე ნივთიერებაზე დამოკიდებულებას, უმუშევრობა/ეკონომიკურ მდგომარეობასა და ადგილობრივ კულტურას. აგრეთვე მამაკაცის დაუსაქმებლობასაც, რადგან, რესპოდენტთა თქმით, მამაკაცთა დიდი ნაწილი კომპლექსდება იმით, რომ არ არის რეალიზებული, ვერ პოულობს სასურველ სამსახურს, შედეგად კი შესაძლოა დაიწყონ მავნე ნივთიერებათა მოხმარება და ქალისგან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების

მოთხოვნა, რომელმაც ასევე შვილები და მამაკაციც უნდა შეინახოს. ერთ-ერთი სახელმწიფო სოციალური მუშაკის თქმით „პატრიარქატი გვაქვს და ქალის მიმართ ხშირია ჩაგვრა და მაგალითად, ქალის მიმართ გინება აღიქმება როგროც ჩვეულებრივი ამბავი. შვილების გამო ხშირად არ მოდიან. ასევე, ხშირად ფიქრობენ რომ ჯობია მამა ჰყავდეს, მაგრამ იმას ვეღარ ხვდებიან რამხელა ზიანი ადგება ბავშვს როდესაც ძალადობის მომსწრეა“. რესპოდენტთა აზრით, კულტურა მოქმედებს თანადგომის ქსელზეც, ხშირად ქმარს გაშორებულ ქალს ბიოლოგიური ოჯახიც აღარ იღებს უკან. ერთ-ერთი სახელმწიფო სოციალური მუშაკის თქმით, ხშირია შემთხვევები, რომ ოჯახური ძალადობის შემსწრე სხვა პირებიც არ იძახებენ პოლიციას, რადგან თვლიან, რომ ეს „ოჯახის საქმეა“ და არ უნდა ჩაერიონ. იგი აღნიშნავს, რომ ქართველი საზოგადოებისთვის ქალზე ძალადობა ჩვეულებრივი ამბავია, როცა ქალის მხრიდან მამაკაცის მიმართ გამოვლენილი აგრესია სრულიად სხვა რეაქციებს იწვევს. ერთ-ერთ ფაქტორად სახელდება რაიონებში ტრადიციად დამკვირდებული არასრულწლოვანთა ქორწინებაც. სახელმწიფო სოციალურ მუშაკთა თქმით, ამ საკითხში დიდი როლი აქვს რელიგიასაც, რადგან მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქრისტიანია და საეკლესიო პირთაგანაც ხშირად გვესმის, რომ ოჯახში მამაკაცი უნდა იყოს მთავარი და ცოლი მას უნდა ემორჩილებოდეს, რასაც მოძალადე ქმრები სათავისოდ იყენებენ. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ჰქონიათ შემთხვევებიც, როდესაც მოძღვარს უთქვამს ძალადობის მსხვერპლი ქალისთვის მოეთმინა და სიტუაცია გამოსწორდებოდა, თუმცა ყოფილა ქეისებიც, როდესაც ბენეფიციარი სწორედ მოძღვრის რჩევითა და შუამავლობით მიმართავს თავშესაფარს.

სერვისის მიმწოდებელთა თანახმად ძალადობას დიდი გავლენა აქვს მსხვერპლის ბიო-ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე და ხშირია საავადმყოფოში მოხვედრისა და ფატალურად დასრულების შემთხვევებიც. მათი თქმით, ძალადობის შედეგად უარესდება მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობაც, რაც შემდგომ შვილებზეც აისახება. მსხვერპლს აღარ აქვს ინიციატივა, მუდმივად დამოკიდებულია სხვაზე, უმეტეს დროს სახლში ატარებს და ნაკლებ სოციალურ კონტაქტს ამყარებს, შესაძლოა გამოიკვეთოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებიც და საჭირო გახდეს სპეციალისტის ჩარევა.

ძალადობის ფაქტის დამალვის მიზეზად სახელმწიფო სოციალური მუშაკები ასახელებენ ეკონომიკურ მდგომარეობას, რადგან მსხვერპლთა უმეტესობა ფინანსურად დამოკიდებულია მოძალადეზე, არ აქვთ არსად წასასვლელი, არ ფლობენ არანაირ პროფესიას და არ არიან დასაქმებულნი. მოქმედ ფაქტორად სახელდება ასევე მოძალადის შიში, განათლების/ინფორმაციის ნაკლებობა, ცნობიერების დაბალი დონე, რადგან ხშირად მსხვერპლი მიიჩნევს, რომ ძალადობა, რომელსაც განიცდის, არის ნორმა, არ იცის ვის მიმართოს და რა გააკეთოს ძალადობის შემთხვევაში. ინტერვიუებში გამოკვეთილი მნიშვნელოვანი ფაქტორია სამართალდამცავებისადმი უნდობლობა და საზოგადოების რეაქციის შიშიც, რომელიც ხშირად მსხვერპლს ადანაშაულებს.

სერვისის მიმწოდებლები აღნიშნავენ, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც მომსახურებები ითვალისწინებს საცხოვრებლით უზრუნველყოფას, მსხვერპლთა გადამზადებას და ა.შ. საქართველოში ძალადობის მსხვერპლი ქალები მხოლოდ გარკვეული პერიოდით სარგებლობენ სახელმწიფო თავშესაფრით და შემდეგ მათი ბედი გაურკვეველია. ასევე, არავინ მუშაობს მოძალადესთან. „ძდექ“-ის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო თავშესაფრისგან განსხვავებით „ძდექ“-ის თავშესაფარი ბევრად მოქნილია, რადგან არ საჭიროებს სტატუსის ქონას, რომლის მინიჭებაც დროსთანაა დაკავშირებული. მათვე აქვთ კრიზისული ცენტრი, სადაც მსხვერპლს შეუძლია სხვადასხვა სპეციალისტის მომსახურება მიიღოს, იქნება ეს ფსიქოლოგი, იურისტი თუ სხვა. აღნიშნული ორგანიზაცია თანამშრომლობს სახელმწიფოსთან და სხვა ორგანიზაციებთანაც და ხელს უწყობს ბენეფიციართა დამოუკიდებლად ცხოვრების უნარების განვითარებას, მათ პროფესიულ გადამზადებას, ეხმარება საცხოვრებლის მოძიებასა და დასაქმებაში. ერთ-ერთი რესპოდენტი გამოწვევად მიიჩნევს ქონების გაყოფასთან დაკავშირებული ბაჟის ოდენობას, რომელიც საკმაოდ მაღალია და მისი გადახდაც ქალებს უწევთ, შესაბამისად, არ შეუძლიათ იდავონ ქონებაზე, რომელიც თანაცხოვრების პერიოდშია შეძენილი. ასევე პრობლემას წარმოადგენს აღსრულებაც, „მაგალითად როდესაც მამაკაცს ეკისრება ალიმენტი თუ იგი არ მუშაობს, რჩება აღუსრულებელი, კარგი იქნებოდა სახემწიფომ დაასაქმოს იძულებით რომ აღსრულდეს განჩინებები“. ყველა გამოკითხული რესპოდენტი ერთხმად აღიარებს სოციალური მუშაკის როლს ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობისას და აღნიშნავენ, რომ მისი

სპეციფიკა სხვა სპეციალისტებთან შედარებით უფრო პრაქტიკულია და მეტი საჭიროებაა ყოველდღიურ კონტექსტში. სოციალურ მუშაკს ისინი ხედავენ ადვოკატისა და განმანათლებლის როლში და მნიშვნელოვნად თვლიან პრევენციულ სამუშაოებსაც, ინფორმაციის დროულად მიწოდებას, მსხვერპლის დახმარებას იმის გააზრებაში, რომ არ უნდა აიტანონ ძალადობა, გააცნობიერონ არსებული პრობლემა და ზიანი, რომელიც ამ პრობლემის შედეგად მათ შვილებს ადგება. რესპოდენტთა მიერ დასახელებულ სოციალურ მუშაკთა როლებში გამოიკვეთა მათი მეშვეობით ბენეფიციართა საჭირო სერვისებთან დაკავშირება, მათი გაძლიერება, საკუთარი შესაძლებლობების გააზრებაში დახმარება და ცხოვრების ახლებური პერსპექტივით აღქმა, ასევე მნიშვნელოვანია ბიოლოგიურ ოჯახებთან მუშაობა. რეკომენდაციების სახით სპეციალისტები გამოყოფენ განათლებასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ძალადობის შესახებ, რათა შეიცვალოს მათი დამოკიდებულება ქალების მიმართ, ასევე კანონის გამკაცრებასა და კანონდამცველთა მხარდაჭერის უზრუნველყოფას შესაბამისი აქტივობების ორგანიზებისას, სერვისების გამრავალფეროვნებასა და მოძალადის რეაბილიტაციას. სპეციალისტები ასევე აღნიშნავენ, რომ არსებული სტატისტიკა არ ასახავს რეალურ სურათს და რეკომენდაციას უწევენ მის გაუმჯობესებას. ასევე სტატუსის მიღების პროცედურების მტკიცებულებებზე დაფუძნებას, კანონდამცველთა გადამზადებასა და კანონის აღსრულების კონტროლს. ერთ-ერთი რესპოდენტი რეკომენდაციას უწევს კანონის გამკაცრებას, „2 წელი ძალიან ცოტაა მოძალადისთვის, უნდა დაისაჯოს უმკაცრესად. ხშირია, რომ იმ შემთხვევაშიც როცა იჭერენ მოძალადეს გამოსვლის შემდეგ საფრთხე ემუქრება მსხვერპლს. მსხვერპლებს არ აქვთ ის ბერკეტი რომ იქნებიან დაცულები. უნდა გახანგრძლივდეს შემაკავებელი/დამცავი ორდერის ვადები. მეტი სერვისია ასევე საჭირო, მეტი კრიზისული ცენტრები, სადაც ოჯახიდან გამოყვანილი ქალი კარგად იგრძნობს თავს, და იქნება მისთვის შვების მომგვრელი.“

საინტერესოა მოცემულ თემასთან დაკავშირებით სფეროს ექსპერტების აზრიც. ექსპერტი ლელა გაფრინდაშვილი აღნიშნავს, რომ ძალადობა არაა გამოწვეული რაიმე მიზეზებით, თუმცა არსებობს ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს მას. ასეთი შეიძლება იყოს: კულტურა, რელიგია, ეკონომიკური მდგომარეობა, პიროვნული ფაქტორები და სხვა. იმ მიზეზებს შორის, რის გამოც ქალები რჩებიან მოძალადესთან და

არ ამხელენ ძლადობის ფაქტებს, ქალბატონი ლელა ასახელებს რამდნეიმე მიზეზს, რომელთა შორისაც გვხვდება განათლება, კულტურა და ეკონომიკური მდგომარეობა. იგი პრობლემას ადრეულ ასაკშივე ხედავს, როდესაც მშობლები ასწავლიან შვილებს, რომ ქალი უნდა იყოს წარმატებული, თუმცა არა ძალიან წარმატებული და თუ იგი გათხოვდება "სარფიანად", მას აღარ ესაჭიროება მუშაობა. მშობლები ეუბნებიან შვილებს, რომ "დიპლომი მზითვებში გამოგადგება". „არ ვეუბნებით, რომ არა მხოლოდ პროფესია, არამედ სამსახურიც უნდა გქონდეს. იმისათვის, რომ შენ გცენ პატივი, როგორც მეუღლემ, ასევე მისმა ოჯახის წევრებმა და მეორე, რომ რაიმე მოხდეს და ოჯახი დაინგრეს, შენ გქონდეს საკუთარი შემოსავალი. და მესამე ოჯახის დანგრევა იმ შემთხვევაში, როცა შენი მეუღლე გცემს, ამას ბავშვები უყურებენ, ასეთი ოჯახი უნდა დიანგრეს და ეს არ არის ტრაგედია. ეს უნდა ვუთხრათ ჩვენ ჩვენს შვილებს.“ იგი თვლის, რომ სწორედ ასეთი დამოკიდებულებების ბრალია დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებული გენდერული ნორმები, რომელიც შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად, როგორც ძალადბრივი ფაქტების, ასევე მოძალადესთან დარჩენის. მისი აზრით, ის ქალებიც კი, რომლებიც ხვდებიან, რომ არიან ძალადობის მსხვერპლები და მიდიან სასამართლოში ხვდებიან, რომ საქმის განხილვა მათ არაფერს აძლევს, რადგან თუ მაგალითად, ქმრის სახელზე არაა გაფორმებული საცხოვრებელი, ან მანამდეა ქონება შეძენილი ვიდრე ოფიციალურად დაქორწინდებოდნენ მოძალადე და მსხვერპლი, მაშინ ქალს არაფერი რჩება ქონებიდან. ქ-ნი ლელა პრობლემას ხედავს საზოგადოების დამოკიდებულებაშიც, რომელსაც მიაჩნია, რომ ოჯახის დანგრევა არის კატასტროფა და მიუღებელი, ადამიანი უნდა იაზრებდეს, რომ თუ ოჯახი არ ფუნქციონირებს ისე, როგროც უნდა ფუნქციონირებდეს, მაშინ იგი უნდა დაინგრეს და ამაში კატასტროფა არაფერია. ასევე ხშირია "კულტურული შტურმი", მაგალითად როდესაც ქალი მოდის მოძალადისგან, მას არ შეუძლია ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოჯახს ეს სურს როცა არის გაფართოებული ოჯახი, იგი ვერ მოითხოვს წილს ან ქონებას, რადგან ეს აღქმულია როგორც "ძმისთვის და მისი შვილებისთვის ქონების წართმევა". რთულია მიატოვო მოძალადე იმ ეკონომიკურ პირობებში, რომელშიც ქალები იმყოფებიან დღეს საქართველოში.

6.2. შედეგების ანალიზი

კვლევის შედეგებიდან ვხედავთ, რომ არ გამოიყოფა რაიმე ერთი ტიპი, რომელსაც შეგვიძლია მივაკუთვნოთ ძალადობის მსხვერპლი ქალები, ისინი არიან განსხვავებული ასაკის, საცხოვრებელი ადგილისა და გამოცდილების მქონე. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც წყაროებიდანაც ვიგებთ, რა თქმა უნდა ვერ დავასკვნით, რომ ძალადობა ხდება მხოლოდ გარკვეული ტიპის ქალებთან მიმართებით. თუმცა ინტერვიუებში იკვეთება გარკვეული ფაქტორები, რომლებმაც რესპოდენტები თვლიან, რომ მოახდინეს გავლენა ძალადობის ფაქტებზე, მათ გამოვლენასა და რეაგირებაზე. ასეთ ფაქტორებად ისინი ასახელებენ მოძალადის პიროვნულ მახასათებლებს და იმ ფაქტორს, რომ ჩვენს საოზგადოებაში კაცის ასეთი როლი ნორმალური, მისაღები და ხშირია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მამაკაცების ძალადობის ერთ-ერთი მიზეზი დასწავლილი ქცევაა, რასაც ბანდურა აღნიშნავს საკუთარ თეორიაში. თუ საზოგადოებაში ძალადობა აღიქმება როგორც მოსალოდნელი, მიღებული ქცევა, მაშინ მამაკაცი ბავშვობიდანვე სწავლობს ამ ქცევას და შემდეგში იმეორებს მას. (Bandura, 1986)

მიზეზებს შორისაა ეკონომიკური მდგომარეობაც, რის გამოც ხშირია ჩხუბი და აგრესია. ეს მიზეზი მრავლად გვხვდება სხვადასხვა წყაროში, შედარებითი რესურსების თეორიის მიხედვით, როგროც უკვე ავღნიშნეთ, ეკონომიკური მდგომარეობა ხშირად იწვევს დაძაბულობას, რადგან თუ მამაკაცია "ოჯახის მარჩენალი" მაშინ იგი მოითხოვს მორჩილებას პარტნიორისგან, ხოლო თუ ქალია შემომტანი, მაშინ ის ამ ფაქტს საფრთხედ აღიქვამს. (Ticci, 2017)

ქალები, იმ მიზეზებს შორის, თუ რატომ არ გამოავლინეს და არ მოახდინეს რეაგირება ადრეულ ეტაპზე თითქმის მსგავს მიზეზებს ასახელებენ, ამ მიზეზებს შორისაა: ეკონომიკური მდგომარეობა, ინფორმაციის არ ქონა, საცხოვრებლის არ არსებობა, მხარდამჭერი ქსელის არ არსებობა, საზოგადოების მხრიდან დისკრიმინაციის შიში. ამ მიზეზებს მრავლად ვხვდებით ლიტერატურაში, მათ შორის სპეციალური მომხსენებლის ანგარიშშიც. (ადამიანის უფლებათა საბჭო, 2016) განხილულ ლიტერატურაში გამოყოფილია სამი ძირითადი მოქმედი ფაქტორი, რის გამოც ქალები არ ამხელენ ძალადობრივ ფაქტებს და არ ახდენენ რეაგირებას მასზე, ესენია: განათლება, რელიგია/კულტურა და ეკონომიკური მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ ყველა

რესპოდენტის ინტერვიუში სწორედ აღნიშნული ფაქტორებიც გამოიკვეთა სხვა ფაქტორებთან ერთად.

განათლება/ინფორმირებულობა - როგორც ინტერვიუებიდან ვიგებთ, რესპოდენტები, მანამ სანამ არ მიმართეს პოლიციას/სოციალურ მუშაკს, ფლობდნენ ძალიან მცირე ინფორმაციას ზოგადად ძალადობის შესახებ. ისინი აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში გაბატონებული ნორმებიდან გამომდინარე, ძალადობრივი ფაქტები ხშირად არც ჩაუთვლიათ საგანგაშოდ საწყის ეტაპზე. ასევე აღსანიშნავია, რომ არ ჰქონდათ ინფორმაცია სახელმწიფოში არსებული სერვისებზე, არ იცოდნენ თავშესაფრისა და სხვა რესურსების არსებობის შესახებ. ამავეს ვიგებთ 2017 წელს ჩატარებული მსოფლიო ბანკის კვლევის ანგარიშიდანაც, სადაც აღნიშნულია, რომ კვლევის რესპოდენტთა 5%-ზე ნაკლებს სმენია თავშესაფრის შესახებ. (World bank group, 2017) განათლება ძალიან მნიშვნელოვანია დასაქმების მხრივაც, თითქმის ყველა რესპოდენტმა (გარდა ერთისა) აღნიშნა, რომ ნანობს, რომ სწავლა არ განაგრძო და ისეთი კარიერა არ აქვს, როგორზეც ბავშვობაში ოცნებობდა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ისინი ისწავლიდნენ, უკეთესად დასაქმდებოდნენ კიდევაც და შეძლებდნენ ეკონომიკურად დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ.

კულტურა - მოძალადესთან დარჩენის მიზეზებში ხუთივე რესპოდენტმა ერთ-ერთ მიზეზად საზოგადოების დამოკიდებულება დაასახელა. მათი თქმით არ უნდოდათ "ოჯახის დანგრევა" იმის გამო, რომ ეშინოდათ საზოგადოების მხრიდან დისკირმინაციისა და გარიყვის. მსგავს მონაცემებს ვხვდებით 2014 წელს ჩატარებულ კვლევაში "კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში" სადაც მოსაზრებას, რომ ქალმა ოჯახის შენარჩუნების მიზნით უნდა მოითმინოს მისთვის მიყენებული შეურაცხყოფა, რესპოდენტთა 70%-ზე მეტი ეთანხმება. (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2014) საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ არ იცვლება წლებთან ერთად - მსოფლიო ბანკის 2017 წლის კვლევის თანახმად, რესპოდენტების ჯერ კიდევ 26% თვლის, რომ ქალმა უნდა აიტანოს ძალადობა ოჯახის შესანარჩუნელბად. (World bank group, 2017)

ეკონომიკური მდგომარეობა - ეკონომიკური პრობლემები ერთ-ერთი ის საკითხია რომელიც ყველა ინტერვიუში გამოიკვეთა. იგი გვხვდება როგორც ძალადობის ხელშემწყობ მიზეზებში, ასევე იმ ფაქტორებშიც, თუ რატომ რჩებიან მსხვერპლები მოძალადესთან და რატომ არ ახდენენ რეაგირებას. როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური პრობლემები ხშირად ხდებოდა ჩხუბისა და დაძაბულობის მიზეზი ბენეფიციარების ოჯახებში, რაც ძალადობას უწყობდა ხელს. თუმცა ეკონომიკური მდგომარეობა ასევე დიდ როლს თამაშობს მოძალადესთან დარჩენის ფაქტებშიც. ძალადობის მსხვერპლ ქალებს არ აქვთ საკუთარი შემოსავალი და საცხოვრებელი ადგილი, რის გამოც იძულებულნი არიან იცხოვრონ პარტნიორთან, ამას ამძიმებს ის გარემოებაც, თუ მსხვერპლს ჰყავს შვილები, რადგან უწევს ზრუნვა მათ საცხოვრებელზეც. მართალია არსებობს თავშესაფარი, თუმცა იგი მუდმივი არაა და თვეების შემდეგ ქალი კვლავ იგივე პრობლემის წინაშე დგება. ლიტერატურიდანაც ვიგებთ, რომ მჭიდრო კავშირია ეკონომიკურ რესურსებსა და ქალის უნარს შორის, დააღწიოს თავი ძალადობრივ ურთიერთობას. (Bonewit, 2016)

აღსანიშნავია, რომ განხილული ფაქტორები საკმაოდ კომპლექსურია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბენეფიციარებისთვის განათლება და დასაქმება აღიქმება როგორც ერთი პრობლემა, რადგან განათლებაზე უარის თქმის გამო ისინი მიიჩნევენ, რომ არ აქვთ მათთვის სასურველი დასაქმების სტატუსი.

გამოწვევებზე საუბრისას ხუთივე რესპოდენტთან ვხვდებით მსგავს პასუხებს, მათთვის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს თავშესაფრის დატოვების შემდეგ საცხოვრებლის არ არსებობა, რასაც ვხვდებით სახალხო დამცველის 2016, 2017 და 2018 წლის ანგარიშებში, სახალხო დამცველი აღნიშნავს ამ პრობლემას და სახელმწიფოს აძლევს რეკომენდაციებს მის მოგვარებასთან დაკავშირებით, თუმცა პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2018) ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს ბენეფიციარებისთვის დასაქმება, ისინი თვლიან რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი დასაქმება იმისთვის, რომ მოახერხონ შვილებისა და საკუთარი თავის რჩენა, ან საცხოვრებელი ადგილის ქირაობა თავშესაფრიდან გასვლის შემდეგ. მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათ საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე ან დასაქმებაზე, რადგან როდესაც თავშესაფრიდან გასულ ქალს არ აქვს არც სამსახური

და არც საცხოვრებელი ადგილი, იგი ფაქტიურად "ჰაერში რჩება". რაც შეეხება თავშესაფრის მომსახურებას, ხუთივე რესპოდენტი კმაყოფილია, თუმცა ისურვებდნენ მომსახურებებში ძიძის არსებობას, რაც მათ ბავშვების დატოვების, სამუშაოს ძიებისა და შემდგომში დასაქმების საშუალებას მისცემდა.

საინტერესოა, რომ თავშესაფრის სოციალური მუშაკი, ფსიქლოგი და იურისტი სხვადასხვა კუთხით აფასებენ ბენეფიციარების მდგომარეობას და ზოგად მდგომარეობას ამ თემის ირგვლივ, თუმცა გამოიკვეთა საერთო მოსაზრებებიც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ყველა მათგანი ძალადობას თვლის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად საქართველოში, სამივე მიიჩნევს, რომ საჭიროა კანონმდებლობის გამკაცრება მოძალადეების მიმართ, ასევე მოძალადეებისთვის სერვისების დანერგვა და რეაბილიტაცია, პრევენციული მექანიზმები და სხვა. სამივე პროფესიონალი თვლის, რომ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საზოგადოების განათლება, ინფორმირება, ეკონომიკური მდგომარეობა, რელიგია, კულტურა გავლენას ახდენს როგორც ძალადობის ფაქტებზე, ასევე მათ გამოვლენასა და რეაგირებაზე. ისინი იმ მიზეზებს შორის, თუ რატომ რჩებიან მოძალადესთან მსხვერპლები ასახელებენ: საზოგადოების შიში, თავშესაფრისა და ფინანსების არ ქონა, განათლების არ ქონა, დაუსაქმებლობა, შიში ბავშვებზე, მოძალადის შიში და სხვა.

აზრები გაიყო ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის არსებული გამოწვევების მხრივ, სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ ყველაზე მწვავედ ამ ქალებისთვის დგას საცხოვრებლის პრობლემა, რაც ემთხვევა ბენეფიციარების პასუხებს.

იურიდიული კუთხით ყველაზე მწვავე პრობლემა მსხვერპლებისთვის არის ინფორმაციის არ ქონა, მსხვერპლს არ აქვს ინფორმაცია ზოგჯერ იმაზეც კი, რომ იგი ძალადობის მსხვერპლია, ასევე იმაზე თუ რა უნდა გააკეთოს ამ დროს და რა სერვისები არსებობს სახელმწიფოში. მისი აზრით, დიდი გამოწვევას წარმოადგენს ეკონომიკური დამოკიდებულება პარტნიორზე და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობა, რადგან ხშირია როდესაც ქალი უჩივის პარტნიორს, რაც საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, და მოძალადე თუ არ არის ოფიციალურად დასაქმებული ან ქონება არაა მის სახელზე გაფორმებული, ქალი რჩება როგროც ალიმენტის, ასევე

საცხოვრებელი ადგილის გარეშე. სამართალდამცავი ორგანოებისგან არატოლერანტულ დამოკიდებულებაზე საუბრობს სახალხო დამცველი 2018 წლის ანგარიშში, სადაც ის იმასაც აღნიშნავს, რომ ზოგჯერ მათი დამოკიდბეულება მსხვერპლების მიმართ დამცინავი და შეურაცხმყოფელია. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2018)

ერთ-ერთი სერვისის მიმწოდებელი მწვავე გამოწვევად მიიჩნევს იმას, რომ ქვეყანაში არ გვაქვს ზუსტი სტატისტიკა და ამ სტატისტიკის შეგროვების მექანიზმი, რადგან ძალადობა ჯერ კიდევ ტაბუდადებული პრობლემაა და საზოგადოება არ ამხელს ასეთ ფაქტებს, შესაბამისად, არ ხდება მიმართვიანობა. იგივე პრობლემას აღნიშნავს სახალახო დამცველი 2018 წლის ანგარიშში, სადაც იგი აძლევს სახელმწიფოს რეკომენდაციას, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისთვის ეფექტური მეთოდოლოგის შერჩევისა. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2018)

7. დასკვნა და რეკომენდაციები

ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა საქართველოში. სტატისტიკიდან ვიგებთ, რომ საკმაოდ ხშირია ძალადობის ფაქტები, თუმცა როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ციფრები გაცილებით მაღალია, მაგრამ მომართვიანობა არ ხდება სხვადასხვა მიზეზების გამო. ძალადობის ფაქტებსა და მათ გამოვლენაზე, ასევე მსხვერპლის გადაწყვეტილებაზე დარჩეს მოძალადესთან, მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ინფორმირებულობის დაბალი დონე, ეკონომიკური მდგომარეობა, რელიგია/კულტურა, საზოგადოების დამოკიდებულება, მოძალადის შიში, შიში ბავშვების გამო, თანადგომის ქსელის არ არსებობა, სიყვარული და სხვა. მოცემულ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულ იქნა ყველაზე აქტუალურ ფაქტორებზე: განათლება, რელიგია/კულტურა, ეკონომიკური მდგომარეობა.

- **განათლება** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ძალადობასთან ბრძოლაში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაც სწორედ ცნობიერების ამაღლებით ცდილობს ძალადობის პრევენციას. რა თქმა უნდა, ძალადობის მსხვერპლი ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს, ისიც, ვისაც აქვს მაღალი ცნობიერების დონე, უმაღლესი განათლება, არაფორმალური განათლება, თუმცა განათლებაზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენად შეუძლია ადამიანს ძალადობის იდენტიფიცირება, მასზე რეაგირება და აღმოფხვრა. სწორედ ინფორმაციის ნაკლებობის გამო ბევრმა ქალმა არ იცის, რომ არის ძალადობის მსხვერპლი, ან არ იცის ვის მიმართოს ამ შემთხვევაში. განათლება მნიშვნელოვანია დასაქმების მხრივაც, განათლებულ ადამიანს ბევრად მარტივად შეუძლია სამსახურის მოძიება და დასაქმება, შესაბამისად, მას მეტად შეეძლება როგორც საკუთარი თავის, ასევე შვილების ფინანსური უზრუნველყოფა და იქნება ეკონომიკურად დამოუკიდებელი მოძალადისგან.
- **ეკონომიკური მდგომარეობა** - აღნიშნული ფაქტორი არის როგორც მიზეზი იმისა, რომ ძალადობის მსხვერპლები არ მიმართავენ დახმარებას, ასევე რისკ ფაქტორი ძალადობის ფაქტებისა. მსხვერპლები ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან მოძალადეებზე და არ შეუძლიათ არჩინონ საკუთარი თავი და შვილები, სწორედ ამიტომ ვერ აღწევენ თავს ძალადობრივ ურთიერთობებს. მეორე მხრივ, როდესაც

ქალია ოჯახში შემომტანი, რაც საკმაოდ ხშირია ქართულ საზოგადოებაში, მამაკაცს უჩნდება საფრთხის შეგრძნება, მას ეშინია, რომ აღარ წარმოადგენს "ოჯახის მმართველს", რაც ასევე ხშირად უწყობს ხელს ძალადობას.

- **რელიგია/კულტურა** – რელიგია და კულტურა დიდ გავლენას ახდენს ძალადობრივ ფაქტებსა და მათ გამოვლენაზე, განსაკუთრებით ტრადიციების მიმდევარ ქვეყნებში, რომელთა რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება. რელიგიური ადამიანებისთვის ოჯახის დანგრევა მიუღებელია, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხდება ძალადობა. სასულიერო პირები ხშირად მოუწოდებენ ქალებს მოთმინებისკენ, რათა არ დაინგრეს ოჯახები. მნიშვნელოვანი ფაქტორია კულტურა და საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახის დანგრევასთან დაკავშირებით, რომლის გამოც ქალები რჩებიან მოძალადეებთან. კულტურაში, სადაც ძალადობა ნორმაა და მიღებულია საზოგადოების მხრიდან, ძალიან რთულია მსხვერპლმა განაცხადოს მის შესახებ, ხშირად სწორედ კულტურაში გაბატონებული ნორმების გამო ქალები ვერ აცნობიერებენ, რომ არიან ძალადობის მსხვერპლნი. მსხვერპლების მიმართ სტიგმა და დისკრიმინაცია ხშირად გამყარებულია კულტურული ნორმებით. ქალი, რომელიც განაცხადებს ძალადობის შესახებ, საზოგადოების მხრიდან უარყოფითად აღიქმება.

ნაშრომში გამოიკვეთა ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის საქართველოში არსებული გამოწვევები, როგორც მიკრო, ასევე მაკრო და მეზო დონეზე და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

- განათლება/ცნობიერების ამაღლება - მნიშვნელოვანია მოხდეს როგორც ძალადობის მსხვერპლებისა და რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების, ასევე მთლიანი საზოგადოების ინფორმირება, რათა არ მოხდეს ისედაც დისკიმინირებული ჯგუფის უფრო მეტად დისკრიმინაცია. ძალადობის პრევენციისთვის აუცილებელია მოქალაქეებმა ადრეული ასაკიდნავე შეძლონ ძალადობის იდენტიფიცირება, იცოდნენ რა უნდა გააკეთონ ძალადობის ფაქტების აღმოჩენის ან საკუთარ თავზე გამოცდის შემთხვევებში, რა უფლებები აქვთ მათ ამ შემთხვევაში, შესაბამისად, კარგი იქნება სასწავლო პროგრამაშივე შესაბამისი საგნის შეტანა,

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა შემეცნებითი ფილმების ჩვენებით, სიტუაციური მაგალითებითა და ტრენინგებით.

- სერვისების გაუმართაობა/სიმცირე - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაუსაქმებლობა და სახელმწიფოში მათი დასაქმების/კვალიფიკაციის ამაღლების სერვისების არარსებობა, რაც წრეს ისევ ჩაკეტილს ტოვებს და თავშესაფრიდან გასვლის შემდეგაც კი ბენეფიციარები კვლავ უსახლკაროდ და რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ხშირად მცირეწლოვან ბავშვთან ერთად და იძულებული არიან კვლავ მოძალადესთან განაგრძონ თანაცხოვრება. კარგი იქნება სახელმწიფომ არა მხოლოდ დროებით შეიფაროს ძალადობის მსხვერპლი ქალები, არამედ მათ მომავალზეც შესაბამისად იზრუნოს და ხელი შეუწყოს თავშესაფრის დატოვების შემდეგ მათ სრულფასოვან მოქალაქეებად ფუნქციონირებას, თავშესაფარშივე უზრუნველყოს ბენეფიციართა კვალიფიკაციის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა და ამასთან, მცირეწლოვან ბავშვთა შესაბამისი მეთვალყურეობა, რომ დედებს მიეცეთ საშუალება გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობაც.
- სამართალდამცავი სტრუქტურა - მიუხედავად იმისა, რომ კანონში განსაზღვრულია პოლიციის რეაგირების ვალდებულება ძალადობის ფაქტების შემთხევვაში, ჩვენს რეალობაში მაინც ძალიან ბევრი ფაქტი რჩება ყურადღების მიღმა და არ ხდება რეაგირება. კანონში არ არის განსაზღვრული პოლიციის მონიტორინგის მექანიზმების არსებობა, რომელიც აღმოაჩენდა დარღვევებს და დააწესებდა შესაბამის სანქციებს. ხშირ შემთხვევაში სამართალდამცავები ცდილობენ ადგილზევე „მოაგვარონ“ კონფლიქტი და ოჯახური ძალადობის ფაქტები ისევ ოჯახში დატოვონ, რაც მსხვერპლთა მხრიდან მათ უნდობლობასა და შესაბამისად, მომართვიანობის შემცირებას იწვევს. საჭიროა მუდმივად ხდებოდეს სამართალდამცავთა ცნობიერების ამაღლება ამ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისი კონტროლის დაწესება მათ საქმიანობაზე. მწვავე პრობლემად დგას სანქციების სიმკაცრე და აღსრულება, რადგან კვლავ ვხედავთ სამართალდამცავების არასწორ, დამცინავ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას მსხვერპლებისადმი.

- კანონმდებლობა - გაუმართავია სასამართლო პრაქტიკა, ხშირად ქალს არ გააჩნია არანაირი ბერკეტი როდესაც საქმე ეხება ალიმენტის დანიშვნასა და ქონების გაყოფას (როდესაც პარტნიორი არ არის ოფიციალურად დასაქმებული და როდესაც ქონება არაა მის სახელზე გაფორმებული ან ქორწინების დროს შეძენილი). ასევე აღსანიშნავია, რომ ქალებს უწევთ სასამართლო ხარჯების დაფარვა, რაც არც თუ ისე დაბალია, მითუმეტეს თუ გავითვალისიწნებთ მსხვერპლების ეკნომიკურ მდგომარეობას. საჭიროა კანონით იყოს სავალდებულო მოძალადეების რეაბილიტაციაც. იმ შემთხევვაში, როდესაც სახეზე გვაქვს ძალადობის ფაქტი, გამოიცემა შემაკავებელი ან დამცავი ორდერი, მაგრამ არაფერი კეთდება მოძალადის ქცევის შესაცვლელად, ამიტომ მოძალადისთვის სავალდებულო უნდა იყოს რეაბილიტაციის კურსის გავლა.
- სოციალური მუშაკის როლი - სამწუხაროდ ხშირ შემთხვევაში ბენეფიციარები ვერ იღებენ სათანადო მომსახურებას სოციალური მუშაკებისგან, რადგან ქვეყანაში არის არასაკმარისი სოციალური მუშაკი და ძალიან ბევრი შემთხვევა, რომელიც საჭიროებს შესაბამის ცოდნასა და კვალიფიკაციას. საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სოციალური მუშაკების დაქირავება, რომლებსაც საშუალება ექნებათ ცვლილებები განახორციელონ როგორც მიკრო, ისე მეზო და მაკრო დონეზე. მნიშვნელოვანია სოციალურმა მუშაკებმა იმუშაონ როგორც ძალადობის პრევენციაზე (საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, შესაბამისი სასწავლო პროგრამის შემუშავება), ასევე სერვისის მიწოდება/გაუმჯობესებასა და კანონმდებლობის ცვლილებაზეც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Atkinson, M. P. (2005, November 21). For Women, Breadwinning Can Be Dangerous: Gendered Resource Theory and Wife Abuse. *Journal of marriage and family, Vol 67 Issue 5*, pp. 1137-1148.
2. Bandura, A. (1986). *Social foundations of thought and action: A social cognitive theory.* Englewood Cliffs, NJ, US: Prentice-Hall, Inc.
3. Bonewit, A. (2016). *The issue of violence against women in the European Union.* Brussels: European Parliament. Retrieved from European Parliament: http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/556931/IPOL_STU(2016)556931_EN.pdf
4. European Commission. (n.d.). *What is gender-based violence*. Retrieved from www.ec.europa.eu: https://ec.europa.eu/info/policies/justice-and-fundamental-rights/gender-equality/gender-based-violence/what-gender-based-violence_en
5. European Union Agency for Fundamental Rights. (2014). *Violence against women: an EU-wide servey.* Luxenburg: Publiocations office of the European Union.
6. Hagemann-White, C. (2010). *Factors at play in the preparation of violence against women, violence against children and sexual orientation violence.* Luxembourg: European Commission.
7. Kimmel, M. (2011). *The Gendered society.* New York: Oxford University Press.
8. Krahé, B. (2017). Violence against women. *Current opinion in psychology*, 6-10.
9. Matjasko, J. L. (2013). THE ROLE OF ECONOMIC FACTORS AND ECONOMIC SUPPORT IN PREVENTING AND. *Journal of Policy Analysis and Management, Vol. 32, No. 1*, pp. 122-128.
10. Michaels, H. M. (2016). *Why She Doesn't Just Leave: The interaction of attachment and precived barriers to leaving an abusive relationship.* Wheaton, Illinois: Psychology department .
11. Prpic, M. (2015). *Combating "honour" crimes in the EU.* European Parliament EPRS.
12. Sokoloff, N. J. (2004). Domestic Violence at the Crossroads: Violence Against Poor Women and Women of Color. *Women's Studies Quarterly*, 139-147.
13. Ticci, F. B. (2017). *Violence Against Women and economic independence.* Luxembourg: European Union.
14. UN Women. (2017). *National study on violence against women.* The european union for Georgia.
15. United Nations. (1993). *Declaration on the elimination of violence against women.* New York: UN.
16. Violence prevention alliance. (2019). *the ecological framework*. Retrieved from world health organization: https://www.who.int/violenceprevention/approach/ecology/en/
17. Webb, R. A. (2010, August). *Women and domestic violence: implications for social work intervention.* Retrieved from National association of social workers: https://www.socialworkers.org/assets/secured/documents/practice/diversity/WKF-MISC-51610%20DiversityPU.pdf?fbclid=IwAR0P0Fljmq_YoaX5Oq43HPRfcMQIbkW_3PIY4DlqJcpvU7W0BYb9uBhZ1p0
18. Whittaker, F. B. (2015). Intimate Partner Violence, Gender, and Criminalisation: An Overview of American Debates. . *Revue française de sociologie (English Edition)*, 264-287.

19. World bank group. (2017). *გენდერული ძალადობა საქართველოში.* ვაშინგტონი: რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი/მსოფლიო ბანკი.

20. World Health Organisation. (2013). *Global and regional estimates of violence against women: prevalence and health effects of intimate partner violence and nonpartner sexual violence.* World Health Organisation.

21. World health organization. (2010). *Prevalence of intimate partner violence and/or non-partner sexual violence, 2010 Globally and by WHO income region, age 15-69 (total).* Retrieved from WHO: https://www.who.int/gho/women_and_health/violence/gho_vaw_001.jpg?ua=1

22. World Health Organization. (2014). *Global status report on violence prevention 2014.* Luxembourg: World Health Organization.

23. world health organization. (2017, 11 29). *violence against women*. Retrieved from neswroom: https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women

24. Zastrow, C. K.-A. (2006). *Understanding human behavior and the social environment.* Tompson learning inc.

25. Zhang, A. H. (2010). *Domestic Violence, Poverty, and Social Services: Does Location Matter?* New Jersey: Social science quarterly.

26. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. (2019). Retrieved from Atipfund Georgia: http://atipfund.gov.ge/geo/faq/14

27. ადამიანის უფლებათა საბჭო. (2016, 06 09). *ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ.* Retrieved from საქართველოს პარლამენტი: http://www.parliament.ge/uploads/other/75/75719.pdf

28. ადამიანის უფლებათა საბჭო. (2016, 2 15-19). *ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ.* საქართველოს სახალხო დამცველი. Retrieved from www.ombudsman.ge: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf

29. ესტერი, მ. ს.-ჯ. (2014, 09). *ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია: სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლი.* Retrieved from Council of europe: https://rm.coe.int/-12-/16808d24c2

30. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2018, 12 26). *საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია.* Retrieved from www.datalab.ge: https://datalab.ge/ge/data/?cl=topics&topics=11

31. მერკვილაძე, ი. (2014, 02 28). ფემინიზმი ყველასთვისაა.

32. *ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია ოჯახური დანაშაულის შესახებ საქართველოში.* (2015, 3 3). Retrieved from www.idfi.ge: https://idfi.ge/ge/official_statistical_information_on_domestic_violence_in_georgia

33. საფარი. (n.d.). Retrieved from www.sapari.ge: https://sapari.ge/

34. საქართველოს პარლამენტი. (2006, 05 25). ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. თბილისი, საქართველო.

35. საქართველოს პარლამენტი. (2018, 07 5). *ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.* Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14

36. საქართველოს პარლამენტი. (2019, 05 29). *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (კონსოლიდირებული ვერსია).* Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=208&fbclid=IwAR0xAF8D_osUbMGUcHXo_0i0Z4u9CalQbHcmqXS1Fa7OeoMKQRXO6fVB-eM

37. საქართველოს სახალხო დამცველი. (2016). *ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა.* Retrieved from www.ombudsman.ge: http://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112492319382.pdf

38. საქართველოს სახალხო დამცველი. (2017). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

39. საქართველოს სახალხო დამცველი. (2018). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

40. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. (2013). *ოჯახში ძალადობა.* Retrieved from www.police.ge: https://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba

41. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი. (2014). *კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში.* თბილისი: გაეროს მოსახლეობის ფონდი.

42. ფრეიზერი, ე. (2012, 12 6). გენდერი, ძალადობა და პოლიტიკა . ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი.

43. ქალთა საკონსულტაციო ცენტრი "სახლი". (n.d.). Retrieved from www.sakhli.org: https://www.sakhli.org/blank-2

44. ჩიტაშვილი, მ. ნ. (2010). *ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში.* თბილისი: ეისითი.

45. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი. (2015, 06 21). *სერვისები.* Retrieved from www.avng.ge: http://avng.ge

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tea Aslanishvili

Violence against women, affecting factors and existing challenges

Social Work

Master Thesis is done to obtain the Master's Degree in Social Work

Supervisor: Tamar Makharadze

PhD in Public Policy

Associate Professor, Head of Disability Research Center

Tbilisi

2019

დანართი 2

მოგესალმებით,

მე ვარ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი თეა ასლანიშვილი. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვატარებ კვლევას, რომელიც ეხება ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოცდილებას, ძალადობის ფაქტების გამოვლენასა და რეაგირებაზე მოქმედ ფაქტორებს და არსებული გამოწვევების მიმოხილვას.

კვლევა არის კონფიდენციალური და არავის მიუწვდება ხელი მასზე, ასევე აუდიო ჩანაწერზე. დიდი მადლობა მონაწილეობისთვის.

ინტერვიუ ბენეფიციართან

1. მომიყევით თქვენი ბავშვობის შესახებ
    - ოჯახს როგორ გაიხსენებდით
    - სკოლას როგორ გაიხსენებდით
    - რა ინტერესები გქონდათ
2. მომიყევით თქვენი შვილების შესახებ
    - როგორი ურთიერთობა გაქვთ მათთან
    - როგორი ურთიერთობა აქვთ მათ თქვენს მეუღლესთან
    - თუ აქვთ რაიმე სირთულეები ჯანმრთელობის, რთული ქცევის სხვა
3. როგორია თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა
    - რა არის შემოსავლის ძირითადი წყარო
    - რამდენად ყოფნის იგი თქვენი საჭიროებების დაკმაყოფილებას
    - თუ ყოფილა ეკონომიკური პრობლემები დაძაბულობის მიზეზი
4. მომიყევით თქვენს სამუშაო გამოცდილებაზე/განათლებაზე
    - სად სწავლობდით? თუ გინდოდათ სწავლის გაგრძელება
    - თქვენი სამუშაო გამოცდილება
    - თუ ყოფილა თქვენი დასაქმების მდგომარეობა დაძაბულობის მიზეზი

5. რამდენად რელიგიურად თვლით თავს
    - რამდენად დიდი როლი აქვს თქვენს ცხოვრებაში ეკლესიას
    - თუ გყავთ მოძღვარი და თუ გისაუბრიათ თქვენს პრობლემებზე მასთან
    - თქვენი აზრით როგორია ეკლესიის დამოკიდებულება ძალადობის მიმართ/მოძალადის მიმართ/მსხვერპლის მიმართ
6. მიამბეთ თქვენს ძალადობრივ გამოცდილებაზე
    - როდის დაიწყო პრობლემები
    - რა იყო აგრესიის გამოვლენის ძირითადი მიზეზები
    - თუ უამბეთ ვინმეს? რა რეაგირება მოყვა? თუ არა, რატომ?
    - როგორ ფიქრობთ, რამდენად დროულად დაიწყეთ რეაგირება ძალადობაზე, რატომ?
    - ვინ დაგიჭირათ მხარი
    - რა მიზეზების გამო გიწევდათ დარჩენა მეუღლესთან?
7. ძირითადად რა სირთულეები შეგხვდათ ამ პერიოდში
    - მიიღეთ თუ არა საჭირო მომსახურებები
    - რა როლი შეასრულა სოციალურმა მუშაკმა თქვენს შემთხვევაში (რა სახის მომსახურებას ისურვებდით მისგან)
    - რას შეცვლიდით (დაამატებდით) არსებულ სერვისებში

ინტერვიუ მომსახურების მიმწოდებლებთან:

1. რამდენად მწვავეა ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა მსოფლიოში?/ საქართველოში
2. მოგვიყევით ბენეფიციარების შესახებ
    - რამდენად ხშირია მომართვიანობა
    - ძირითადად რა დემოგრაფიული მონაცემების მქონე ქალების მხრიდან ხდება მომართვა (ასაკი, ეკონომიკური მდგომარეობა, დასაქმების

მდგომარეობა, სოციალური სტატუსი, რელიგია, ოჯახური მდგომარეობა, ეთნიკურობა..)

3. რა გავლენას ახდენს ძალადობა ქალების ბიოფსიქოსოციალურ მდგომარეობაზე?
    - როგორია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა
    - როგორია მათი ფსიქოლოგიური/ემოციური მდგომარეობა
    - როგორია მათი სოციალური მდგომარეობა
4. ძირითადად რა ფაქტორები ახდენს გავლენას ძალადობის ფაქტებზე მათ გამოვლენასა და რეაგირებაზე
    - განათლების როლი
    - ეკონომიკური მდგომარეობის როლი
    - ეკლესიის/რელიგიის როლი
    - საცხოვრებელი ადგილის როლი
    - ჯანმრთელობის მდგომარეობის როლი
    - სტიგმა

5. ძირითადად რა პრობლემებს აწყდებიან ძალადობის მსხვერპლი ქალები
    - სერვისები
    - სტიგმა/დისკრიმინაცია
    - იურიდიული პრობლემები
    - ინფორმაციის ნაკლებობა
    - სხვა
6. რა სერვისები არსებობს ამ მიმართულებით მსოფლიოში/საქართველოში

- რაში ეხმარება სერვისები/ დაასახელეთ კონკრეტული სფეროები
- ყველაზე მწვავედ რა პრობლემას ხედავთ მსხვერპლებთან ურთიერთობისას
- რამდენად ეფექტურია სახელმწიფოში/მსოფლიოში არსებული სერვისები (დაახასიათეთ კონკრეტული სერვისები)
- სოციალური მუშაკის როლი (რამდენად და რაში ხედავთ სოციალური მუშაკის როლს; რეალურად რა სურათია)

7. რეკომენდაციები
    - რას შეცვლიდით/დაამატებდით არსებულ სერვისებში
    - რას შეცვლიდით სახელმწიფო პოლიტიკაში